

ქალაქობა გავრავების ენაქართ
– გერმანიის ენის
მრავალენოვანი გერმანული
ენის სემანტიკის კვლევა,
კლასიკური გავრავების
და კლასიკური ენის

შინაარსი

რის შესახებაა ეს ანგარიში?.....	3
რას გვეუბნება ეს კვლევა? ძირითადი რეკომენდაციები.....	12
სად ხდება ძალადობა ბავშვებზე?.....	21
სახლი და ოჯახი.....	21
სკოლები და სასწავლო დაწესებულებები.....	25
სპეციალური დაწესებულებები.....	28
სამუშაო ადგილი.....	35
საზოგადოება	38
2 რა უნდა გაკეთდეს შემდეგში	43
განმარტებები.....	46

ავტორები: ელიზაბეტ კვასტი და სოფი ლოუსი.

ყდა: სოფი კომბეტი.

მაკეტი: services-concept.ch

© თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007

რის შესახებაც ეს ანბარიში?

რის შესახებაც ეს ანბარიში?

ჩვენი ანგარიში მოგიხრობთ იმ კვლევის შესახებ, რომელიც განახორციელა *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურმა** ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხთა შესასწავლად. ქვემოთ ამ ანგარიშს მოვისხენიებთ, როგორც „ძალადობის კვლევას“. მთელი მსოფლიოს ათასობით ბავშვმა და ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა კონსულტაციებში — შეხვედრებში, ღონისძიებებში, კამპანიებსა თუ სხვა სახის აქციებში, რათა გამოეთქვათ თავიანთი აზრი შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ძალადობის რა ფორმებია გავრცელებული მთელ მსოფლიოში.
- რა ზეგავლენას ახდენს ძალადობა ბავშვებსა და ახალგაზრდებზე.
- რა მიზეზების გამო ხდება ძალადობა ბავშვებსა და ახალგაზრდებზე.
- რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის თავიდან ასაცილებლად.
- რა სახის დახმარება უფრო სჭირდებათ იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს ძალადობა.
- როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობისაგან ბავშვებმა და ახალგაზრდებმა.

3

ძალადობის კვლევა — რა მოხდა?

2001 წელს *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ* სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) გენერალურ მდივანს, ოფიციალურად გამოეკვლია ბავშვებზე ძალადობის საკითხი. ბავშვებზე ძალადობის პრობლემები უნდა შეესწავლათ მთელ მსოფლიოში და უნდა განეხილათ ამ პრობლემის მოსაგვარებელი გზები.

კვლევა ეფუძნება კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული ძალადობისაგან. ეს უფლება ჩამოყალიბებულია „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-19 მუხლში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და მას ხელს აწერს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა. ეს ქვეყნები იღებენ

* კურსივით წარმოდგენილი სიტყვების განმარტებები იხ. გვ. 46

ვალდებულებას შეასრულონ აღნიშნული ხელშეკრულების დებულებები. დამატებითი ინფორმაცია ამ ხელშეკრულების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში, შემდეგ მისამართზე: <http://www.unicef.org/magic/briefing/uncorc.html>

2005 წლის მარტიდან ივლისამდე მსოფლიოს ყველა ადგილას ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები, სადაც ბავშვებს, ახალგაზრდებს, უფროსებს და ორგანიზაციებს შეეძლოთ აზრის გამოთქმა მათ რეგიონში ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ, აგრეთვე, ამ ძალადობის წინააღმდეგ სამოქმედო შესაძლებლობების შესახებ. უფრო მეტი ინფორმაცია შეგროვდა კითხვარების საშუალებით — კითხვარი შეავსო 133 ქვეყანამ. კითხვარი რესპოდენტისაგან მოითხოვდა მის ქვეყანაში მომხდარი ბავშვებზე ძალადობის ფაქტების დეტალურ აღწერას, აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან ბავშვების მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და მისი აღკვეთის მიზნით მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციას.

მთელი მსოფლიოს ბავშვები და ახალგაზრდები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ჩაერთნენ კვლევის პროცესში. რეგიონებში ცალ-ცალკე ხვდებოდნენ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რათა მათ გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება და გამოეთქვათ აზრი, თუ რისი გაკეთება იყო შესაძლებელი. ბავშვები და ახალგაზრდები სხვა ორგანიზაციებსაც დაეხმარნენ ანგარიშების დანერგვაში — წარმოადგინეს მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება აღიკვეთოს ბავშვების მიმართ ძალადობა და მიაწოდეს მათ ინფორმაცია ანგარიშის პროექტისათვის.

„ძალადობის კვლევა“ დაეხმარება გაეროს, ქვეყნებს, ადგილობრივ საზოგადოებებს, მშობლებს, ბავშვებს, ახალგაზრდებსა და ბავშვებთან/ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, რომ უფრო მეტი შეიტყონ ძალადობის შესახებ და გაიაზრონ, თუ რისი გაკეთებაა საჭირო მის აღსაკვეთად.

ეს ანგარიში დაინერგა ბავშვებისა და 12 წელზე უფროსი მოზარდებისათვის. 2006 წლის მაისში შეიკრიბა ჯგუფი, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ ბავშვები და ახალგაზრდები მთელი მსოფლიოდან. შეხვედრაზე უნდა ემსჯელათ და გადაეწყვიტათ, თუ როგორ ექციათ

რის შესახებაც ეს ანგარიში?

ოფიციალური ანგარიში უფრო ადვილად წასაკითხ დოკუმენტად. ანგარიშის პროექტს ასევე გაეცნენ ახალგაზრდები სერბიიდან, რუმინეთიდან, ინდოეთიდან, უგანდიდან და კარიბის კუნძულებიდან. მათაც გააკეთეს კომენტარები, თუ როგორ იქნებოდა ეს დოკუმენტი უფრო გასაგები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

წინამდებარე ანგარიშში არ არის განმარტებული ოფიციალური ანგარიშის ყოველი სიტყვა. ეს არის შემოკლებული ვარიანტი, რომელიც იძლევა ოფიციალურ ანგარიშში წარმოდგენილი უმნიშვნელოვანესი საკითხების ფართო მიმოხილვას. „ძნელი სიტყვები“ ახსნილია ანგარიშის ბოლოს დართულ განმარტებებში. ანგარიშში ბავშვად მოიხსენიებიან მოზარდებიც, რადგან, საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, ასე იწოდება ყველა, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი.

მომდევნო გვერდებზე თქვენ გაეცნობით ბავშვებზე ძალადობის კვლევის შედეგებს და ამ ძალადობის აღკვეთის შესაძლებლობებს. აქვე აღწერილია, თუ როგორ მონაწილეობდნენ თვითონ ბავშვები და ახალგაზრდები „ძალადობის კვლევაში“. ასევე გვხვდება თავი იმის შესახებ, თუ რა უნდა მოხდეს ახლა, როცა უკვე დასრულებულია „ძალადობის კვლევა“ და რას მოიმოქმედებენ სახელმწიფოები და სხვა დაინტერესებული პირები.

ამ ანგარიშის შემდეგ შეგიძლიათ წაიკითხოთ დოკუმენტი „ჩვენ გავქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისაგან: ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემების შესწავლა-მოგვარების მიზნით“, რომელიც შედის დოკუმენტების მოცემულ კომპლექტში. ეს შეგიქმნით წარმოდგენას, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისათვის, რომ სხვა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა მიიღონ ინფორმაცია ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ და რისი გაკეთებაა შესაძლებელი ამ ძალადობის წინააღმდეგ. ქვემოთ დართულია ამ კვლევასთან დაკავშირებული სხვა წიგნების, ბროშურებისა და ვებგვერდების სია.

უფრო პატარა ბავშვებისათვის — 7-დან 12 წლამდე — არსებობს ცალკე წიგნი, სათაურით „დაცვა მჭირდება მე და დაცვა გჭირდება შენ — ძალადობას არ შევეგუებით“, რომელიც გამოსცა ორგანიზაცია „Save the Children“-მა და რომლის მოძიებაც შესაძლებელია ვებგვერდზე: www.rb.se/eng. ოფიციალური ანგარიშის („გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში ბავშვების მიმართ ძალადობის

კვლევასთან დაკავშირებით“) და ახალგაზრდებისათვის ადაპტირებული ამ ვერსიის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართებსა და ვებგვერდებზე:

UNICEF

UNICEF House
3 United Nations Plaza
New York, New York 10017
USA
www.unicef.org

WHO

World Health Organisation
Avenue Appia 20
1211 Geneva 27
Switzerland
www.who.int

OHCHR

Office of the United Nations
High Commissioner for Human Rights
UNOG-OHCHR
1211 Geneva 10
Switzerland
www.ohchr.org

**International Save the Children
Alliance**

Second Floor
Cambridge House
100 Cambridge Grove
London W6 0LE
UK
www.savethechildren.net

**Child Rights Information Network
(CRIN)**

c/o Save the Children
1 St John's Lane
London EC1M 4AR
UK
www.crin.org

ბავშვების დაცვა კალადობისაგან

ბავშვების დაცვა კალადობისაგან

„ძალადობის კვლევა“ ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან მოსაზრებებს:

- ბავშვის მიმართ ძალადობა არასდროს არის გამართლებული.
- ძალადობისაგან ბავშვი არასდროს უნდა იყოს უფროსზე ნაკლებად დაცული.
- შესაძლებელია ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის თავიდან აცილება.
- სახელმწიფოს აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა, მხარი დაუჭიროს ბავშვის უფლებას იყოს დაცული, მიიღოს განათლება და ისარგებლოს ჯანდაცვისა და სხვა სახის მომსახურებით. ასევე, მან დახმარება უნდა გაუწიოს ოჯახებს, რათა მათ შვილები უსაფრთხო გარემოში აღზარდონ.
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაისაჯოს ყველა, ვინც ბავშვის მიმართ ჩაიდენს ძალადობას.
- ძალადობის რისკი უფრო მეტად ემუქრება ბავშვებს, რადგან ისინი ჯერ კიდევ პატარები არიან. ზოგიერთი ბავშვი განსაკუთრებული რისკის წინაშე დგას მისი *გენდერული* კუთვნილების, ეთნიკური წარმომავლობის, უნარშეზღუდულობის ან საზოგადოებაში მისი სტატუსის გამო.
- ბავშვს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი და ეს აზრები გასათვალისწინებელია იმ გადაწყვეტილებების მიღების დროს, რომლებიც შეეხება ბავშვის მიმართ ძალადობის შეწყვეტას.

7

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განურჩევლად კულტურისა, ეთნიკური კუთვნილებისა ან წარმომავლობისა. მნიშვნელობა არა აქვს განათლებული ოჯახიდან არის ის თუ არა, მდიდარია თუ ღარიბი. ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ადგილზე. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმეტესობისათვის ცნობილია ბავშვის უფლებების შესახებ და იციან, რომ ბავშვი საჭიროებს დაცვას, რათა გაიზარდოს ჯანსაღ ადამიანად, ბევრ ქვეყანაში ბავშვის მიმართ ძალადობა დაშვებულია, რადგან ამის ნებას იძლევა იქ არსებული ადათ-წესები — ძალადობა იქ ჩვეულებრივ გამოიყენება, როგორც სასჯელის ზომა.

„ძალადობის კვლევა“ მიზნად ისახავს ყოველივე ამის აღკვეთას და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს. კვლევაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ბავშვების მიმართ ძალადობა არასდროს არის გამართლებული, მაშინაც კი, როდესაც ამას ითვალისწინებს ტრადიცია,

ანდა როდესაც ხდება დისციპლინის დაცვის მიზნით. მიუხედავად ამისა, მარტო კვლევა ვერ შეაჩერებს ძალადობას — ეს უნდა გააკეთონ ქვეყნებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა — მათ უნდა იმოქმედონ კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

თითოეულ ქვეყანას შეუძლია და ვალდებულია შეაჩეროს ძალადობა ბავშვების მიმართ.

ამრიგად, რა არის ძალადობა?

ძალადობა ხდება მაშინ, როდესაც პირი იყენებს თავის ძალას ან მდგომარეობას, რათა წინასწარი განზრახვით, და არა შემთხვევით, ზიანი მიაყენოს სხვა პირს. ძალადობად ითვლება ძალადობის მუქარა, ან ქმედება, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სხვას, ან ქმედებები, რომლებიც რეალურად აზიანებს ვინმეს. ძალადობის შედეგად შეიძლება ზიანი მიაღვეს როგორც ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ისე ზოგადად, მის ჯანმრთელობას. ადამიანმა შეიძლება მიიღოს სხეულის დაზიანება ან საფრთხე შეექმნას მის კეთილდღეობას. ძალადობად ითვლება, ასევე, საკუთარი თავისათვის განზრახ ზიანის მიყენება, აგრეთვე თვითმკვლელობა.

8

დაფარული ძალადობა — ძალადობა, რომლის შესახებაც არავინ აცხადებს

ქვეყნები უკვე შეთანხმდნენ იმაზე, რომ დაიცავენ ბავშვებს ძალადობის ყველა ფორმისაგან. თუმცა, ბავშვების მონაყოლიდან და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლით დადგინდა, რომ ხელისუფალნი საკმარისად არ მუშაობენ ამ მიმართულებით და რომ ძალიან ხშირად არ ცხადდება ბევრი ძალადობის ფაქტი. მაგალითად:

- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, 2002 წელს მთელ მსოფლიოში მოკლეს 53 000 ბავშვი.
- ძალიან ბევრ ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სასკოლო ასაკის ბავშვების 20-65 %-ის ჩვენებით, მათ მიმართ ხდებოდა დაშინება, როგორც სიტყვიერი, ისე — ფიზიკური.
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 2002 წლის განმავლობაში 18 წლამდე ასაკის 150 მილიონ გოგონას და 73 მილიონ ბიჭს აიძულებდნენ დაემყარებინათ

გაეფუძის დაცვა კალაქობისაჲს

სქესობრივი კავშირი ან სხვა ფორმით ახორციელებდნენ მათ მიმართ სექსუალურ ძალადობას.

- მთელ მსოფლიოში 100-დან 140 მილიონამდე გოგონასა და ქალს სხვადასხვა ფორმით ჩაუტარდა *სასქესო ორგანოების მუტილაცია (ოპერაცია სასქესო ორგანოების დასახიჩრების მიზნით)*. ყოველწლიურად სუბ-საჰარის აფრიკის რეგიონში, ეგვიპტესა და სუდანში 3 მილიონი გოგონა და ქალი განიცდის ამგვარ ძალადობას.
- *შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)* შეფასებით, 2004 წელს 218 მილიონი ბავშვი იყო ჩაბმული შრომაში, აქედან 126 მილიონი ასრულებდა სახიფათო სამუშაოს. იმავე მონაცემებით, 5-7 მილიონი ბავშვი იძულებით ასრულებდა სამუშაოს (იძულებითი და სავალდებულო შრომა) და 1.8 მილიონი ბავშვი ჩაბმული იყო პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში, ხოლო 1.2 მილიონი ბავშვი იყო *ტრეფიკინგის* მსხვერპლი.

ბავშვის მიმართ ძალადობა შესაძლებელია ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფორმით. არსებობს ბევრი მიზეზი, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, არ ხდება მისი გამჟღავნება. მაგალითად:

- **შიში** — ბევრ ბავშვს ეშინია გაამჟღავნოს ძალადობის ფაქტი; ზოგჯერ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია ამის შესახებ, მაგრამ არაფერს ამბობენ, რადგანაც ძალადობა მოდის ისეთი პირისაგან, როგორცაა მშობელი, პოლიციის ჩინოვნიკი, უფროსი სამუშაო ადგილზე ან საზოგადოებრივი ლიდერი, რომელსაც შეუძლია უფრო მეტი ზიანის მიყენება.
- **სირცხვილი** — ბავშვს შეიძლება ეშინოდეს, რომ თუ სხვები გაიგებენ ძალადობის ფაქტის შესახებ, მას დაადანაშაულებენ ან სხვებისაგან გამიჯნავენ. ზოგიერთ ქვეყანაში, გოგონას გაუპატიურების შემთხვევაში, საზოგადოება და ხშირად საკუთარი ოჯახიც ადანაშაულებს მსხვერპლს და მას ოჯახის შერცხვენას აბრალებს.
- **„ნორმალურია“** — ხანდახან ძალადობას უყურებენ როგორც ნორმალურ მოვლენას, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას იყენებენ *დისციპლინის* დამყარების მიზნით, ან როდესაც მას აქვს *დაშინების* ან სექსუალური ძალადობის ფორმა.
- **არ ხდება განცხადება** — ხანდახან ბავშვები და უფროსები არ ენდობიან პასუხისმგებელ პირებს ან შეიძლება, იმ ადგილზე, სადაც ძალადობა მოხდა, არ იყოს პასუხისმგებელი პირი.
- **არ ხდება დაფიქსირება** — მაშინაც კი, როდესაც ძალადობის ფაქტზე გაკეთდება განცხადება, არ ხდება მისი წერილობითი გაფორმება და ძალადობის მასშტაბები ყველასთვის უცნობი რჩება. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება ისეთ დანესებულებებში, როგორცაა ციხეები და სხვა დაკავების ცენტრები, ან ობოლ ბავშვთა თავშესაფრები.

რა ზეგავლენას ახდენს ძალადობა ბავშვებზე?

ძალადობის გავლენა ბავშვებზე შეიძლება იყოს მრავალგვარი და მისი კვალი იგრძნობოდეს დიდი ხნის შემდეგაც. შედეგები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები, მაგალითად, ცვლილებები აზროვნების განვითარებაში, დაზიანებები, კონტუზია და იარები.
- სხვა ადამიანებთან შეუგუებლობა.
- სწავლის პრობლემა.
- საკუთარი გრძნობების სხვებისათვის გასაგები ფორმით გადმოცემის გაძნელება.
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის — შფოთვა, დეპრესია, აგრესია ან თვითმკვლელობის მცდელობაც კი.
- უფრო მეტი რისკი, რომ ჩაიდინონ სახიფათო ქმედება — ნარკოტიკების მოხმარება ან ადრეულ ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყება.

ხანგრძლივი პრობლემები ნაკლებად ემუქრება ბავშვებს, რომელთაც ჰყავთ მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც მათ სიყვარულს აგრძნობინებენ და რომლებთანაც ისინი დაცულად გრძნობენ თავს; ან თუ ჰყავთ მეგობრები, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მათ და არ უბიძგონ დანაშაულებრივი/სახიფათო ქმედებისაკენ, როგორცაა, მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარება.

10

სად ხდება ძალადობა?

„ძალადობის კვლევამ“ აჩვენა, რომ არსებობს ხუთი სხვადასხვა დაწესებულება ან ადგილი, სადაც ბავშვებს ემუქრებათ ძალადობა. ეს ადგილებია:

- სახლი.
- სკოლა ან სხვა სასწავლო დაწესებულება.
- ისეთი დაწესებულებები, როგორცაა *ობოლ ბავშვთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები, ციხეები ან სხვა დაკავების ცენტრები.*
- სამუშაო ადგილი.
- საზოგადოება.

გაქვეყნების დაცვა კალაქობისაჲს

რა შეიძლება გაკეთდეს ძალადობის აღსაკვეთად?

არსებობს სხვადასხვა საშუალება, რაც შეიძლება დაგვეხმაროს ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტების შემცირებაში. სახლსა და სხვა ორგანიზაციებში ნაკლებად განიცდიან ბავშვები ძალადობას, თუკი უფროსებმა იციან, როგორ მოიქცნენ, როგორ უნდა იყვნენ კარგი მშობლები, როგორ დაამყარონ მჭიდრო კავშირი თავიანთ ბავშვებთან და ძალადობის გარეშე როგორ ასწავლონ ბავშვებს წესიერად მოქცევა (*დისციპლინა*). სკოლაში ძალადობის შემცირება შესაძლებელია თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის კონკრეტული წესების შემოღებით. ეს უზრუნველყოფს, რომ ძალადობა და *დისკრიმინაცია* არასოდეს გახდეს ნებადართული. ისეთ საზოგადოებაში, სადაც უფროსები და ბავშვები ერთად მშვიდობიანად, კონფლიქტებისა და *დისკრიმინაციის* გარეშე ცხოვრობენ, ნაკლებად აქვს ადგილი ძალადობის ფაქტებს.

არსებობს მრავალი მაგალითი, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ბავშვების მიმართ ძალადობის აღსაკვეთად. მაგრამ საჭირო ზომებს ყველგან არ მიმართავენ და ეს კარგი მაგალითებიც მხოლოდ მცირე რაოდენობის ბავშვებს ეხმარება. ბევრგან ბავშვები კვლავაც ყოველდღიურად განიცდიან ძალადობას. საჭიროა ყველა ქვეყნის ხანგრძლივი თანამშრომლობა და დახმარება, რათა ყველგან შეწყდეს ძალადობა ბავშვების მიმართ. როდესაც კონკრეტული ბავშვის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად რაიმე ზომებს მიმართავენ, გადანყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია ამ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. ამგვარად, ან უნდა ვეცადოთ, რომ შეწყდეს ძალადობა, ან უნდა გამოვასწოროთ მისი შედეგები, მაგრამ ისე, რომ ამით ბავშვის მდგომარეობა უფრო არ დამძიმდეს.

როდესაც ძალადობა ხდება ოჯახში, ეს ჩვეულებრივ განიხილება, როგორც „პირადი“ საქმე და გარეშე პირები ძირითადად ცდილობენ არ ჩაერიონ ამ საქმეში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თითოეული ბავშვის პატივისცემის, ღირსების დაცვისა და ფიზიკური კეთილდღეობის უფლება არ წყდება მისი ოჯახის, სახლის კართან. მომდევნო გვერდებზე თქვენ გაეცნობით უფრო მეტ ინფორმაციას, თუ რა გაკეთდა დღეისათვის ჩვენი კვლევის ფარგლებში და რა იდეები არსებობს მომავალში სამოქმედოდ.

რას გვეუბნება კვლევა? ძირითადი რეკომენდაციები

ეს რეკომენდაციები ეხება ყველა გარემოს, სადაც ხდება ძალადობა ბავშვებზე; იძლევა მრავალ იდეას, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ძალადობის შესაჩერებლად ოჯახში, სკოლაში, სპეციალურ დაწესებულებებში, სამუშაო ადგილზე და საზოგადოებაში.

„ძალადობის კვლევა“ შეიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს ქვეყნებისათვის, რათა მათ უფრო მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ძალადობის შესაჩერებლად და მოაგვარონ ძალადობის გამომწვევი მიზეზები. რეკომენდაციებში მოცემულია რჩევა, თუ რა უნდა გააკეთოს ქვეყნის ხელისუფლებამ და სხვა დაინტერესებულმა პირებმა, როგორ უნდა ჩაერთონ ბავშვების მიმართ ძალადობის აღკვეთის საქმეში.

1. ქვეყანამ უფრო მკაცრი ზომები უნდა მიიღოს ბავშვების მიმართ ძალადობის საწინააღმდეგოდ.

12

ქვეყნის მთავრობამ უნდა გააერთიანოს ყველა და უზრუნველყოს მათი თანამშრომლობა ბავშვების მიმართ ძალადობის შესაჩერებლად. ამ საქმეში ჩართულმა ყველა პირმა უნდა იცოდეს, თუ რა არის საჭირო თითოეულ ქვეყანაში თითოეული ბავშვის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად. ყველა ქვეყანას გარკვევით უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა ბავშვების მიმართ ძალადობის შესაჩერებლად. ქვეყანამ ეს გეგმა ისევე უნდა შეიმუშაოს, როგორც ჩვეულებრივ სხვა გეგმები. თითოეულმა ქვეყანამ უნდა გამოახოს საშუალება, რომ განხორციელდეს ეს სახელმწიფო გეგმა და შედეგიც ნამდვილად მოიტანოს. მან უნდა გააკონტროლოს, რომ მის მიერ შედგენილი გეგმები შეესაბამებოდეს იმ საერთაშორისო კანონებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ბავშვების დაცვას (ქვემოთ, იხ. რეკომენდაცია 12).

გეგმაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული, თუ როგორ უნდა შეფასდეს მუშაობა, რამდენი ხანი დასჭირდება მის შესრულებას და რა თანხა არის საჭირო მის განსახორციელებლად.

რას გვეუბნება კვლევა?

2. ქვეყანამ უნდა აკრძალოს ყოველგვარი ძალადობა ბავშვების მიმართ.

ყველა ქვეყანამ გარკვევით უნდა განმარტოს, რომ ბავშვების მიმართ ძალადობის არანაირი ფორმა არ შეიძლება იყოს ნებადართული. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დანერგილი კანონები, რომლებიც კრძალავს ძალადობას ბავშვებზე. აგრეთვე უნდა აიკრძალოს: ფიზიკური დასჯა, მავნე ტრადიციული ადათ-წესები (ძალდატანებითი ნაადრევი ქორწინება, ქალების სასქესო ორგანოების მუტილაცია), ე.წ. ღირსების დასაცავად მკვლელობა და სექსუალური ძალადობა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ კანონების შესრულება.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში (ზოგადი კომენტარი მ), რომელშიც ნათქვამია, რომ ბავშვების ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა კანონით უნდა იყოს აკრძალული. მნიშვნელოვანია, რომ ამას ყველა სახელმწიფომ მიაქციოს სათანადო ყურადღება.

ქვეყნებმა ასევე უნდა იზრუნონ, რომ 18 წლამდე ასაკის არც ერთი პირის მიმართ არ იყოს გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი ან სამუდამო პატიმრობა განთავისუფლების შესაძლებლობის გარეშე.

3. ქვეყანამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვების მიმართ ძალადობის პრევენციას.

საჭიროა დიდი ცვლილებები, რომ ფული ისეთ საქმიანობაზე დაიხარჯოს, რომელიც ძალადობას, პირველ რიგში მისი გამომწვევი მიზეზების მოგვარებით შეაჩერებს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სახელმწიფომ ძალადობის წინააღმდეგ ზომები მიიღოს არა მხოლოდ მაშინ, როცა ის მოხდება, არამედ უპირველესად მანამ, სანამ ის მოხდება.

პროექტებში ყურადღება უნდა მიექცეს ძალადობის მიზეზებს. მიღებული უნდა იქნეს ზომები გარკვეული სიტუაციების მოსაგვარებლად. მაგალითად, დახმარება უნდა გაეწიოს იმ ბავშვებს, რომლებიც მოცილებულნი არიან მშობლებს ან ოჯახის სხვა წევრებს, ვისი ოჯახის რომელიმე წევრიც არის ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მომხმარებელი. მუშაობა საჭირო ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების დასახმარებლადაც. უნდა მოგვარდეს კაცებსა და ქალებს, ბიჭებსა და გოგონებს შორის არათანასწორუფლებიანობის პრობლემა, რაც ქმნის

ძალადობის საფუძველს. მნიშვნელოვანია, ასევე, იმის უზრუნველყოფა, რომ ოჯახში ან საზოგადოებაში არ ინახებოდეს სამიში იარაღი, მაგალითად, პისტოლეტი.

4. ქვეყანამ გარკვევით უნდა განმარტოს, რომ ბავშვების მიმართ ძალადობის არანაირი ფორმა არ შეიძლება იყოს ნებადართული და ყველა უნდა იცნობდეს ერთმანეთთან მოპყრობის არაძალადობრივ საშუალებებს.

ქვეყანა უნდა შეეცადოს, რომ შეცვალოს წარმოდგენები/ტრადიციები, რომელთა მიხედვითაც, ბავშვების მიმართ ძალადობა ნორმალურია ან ადვილად დასაშვებია. მნიშვნელოვანია, როდესაც ქვეყნის თავკაცები გარკვევით განაცხადებენ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა არასდროს იქნება ნებადართული. ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ *ბავშვის უფლებებს* გაეცნოს ყველა, ბავშვების ჩათვლით.

14

ხელისუფლების მცდელობით ყველამ, მათ შორის, ბავშვებმა, მშობლებმა და ბავშვებთან მომუშავე პირებმა, უნდა იცოდნენ, თუ როგორ მოაგვარონ პრობლემები არაძალადობრივი გზით და როგორ დაიცვან ბავშვები, თუ ადგილი აქვს ძალადობას. თუკი ფიზიკური ძალადობა არ არის ნებადართული უფროსების მიმართ, ის არასდროს უნდა იყოს ნებადართული ბავშვების მიმართაც. მთავრობამ უნდა მოაწილოს *კამპანიები*, რომლის დროსაც განუმარტავენ ადამიანებს, რომ *ფიზიკური სასჯელი* მიუღებელია; ყველას ასწავლონ ერთმანეთთან, განსაკუთრებით კი, ბავშვებთან მოპყრობის არაძალადობრივი გზები. ყველამ უნდა იცოდეს რა ზიანი მოაქვს ბავშვისათვის ძალადობას ან ძალადობის ფაქტის ყურებას. უფროსებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ *აღზარდონ* ბავშვები ძალადობის გამოყენების გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია გოგონებისა და ბიჭებისათვის „სათანადო“ ქცევების სწავლება, თუკი მათ მიაჩნიათ, რომ ძალადობა ნორმალურია. აქვე იგულისხმება მუშაობა მავნე ტრადიციების წინააღმდეგ, მაგალითად, გოგონების *ადრეულ ასაკში ან ძალდატანებით გათხოვება*. მთავრობამ უნდა დაავალოს საინფორმაციო საშუალებებს (როგორცაა გაზეთები, ტელევიზია, რადიო), რომ პროპაგანდა გაუწიონ ადამიანების ერთმანეთთან მოპყრობის არაძალადობრივ მეთოდებს. საინფორმაციო საშუალებებმა უნდა ისწავლონ, თუ უკეთ როგორ დაიცავენ ბავშვებს თავიანთი პუბლიკაციებით ან დადგმებით; როგორ შეძლებენ ამის წარმოდგენას ისე, რომ არ გამოაქვეყნონ გოგონათა ფოტოსურათები სექსუალურ პოზაში, ან არ გაამჟღავნონ ინფორმაციის ბავშვის ვინაობა.

რას გვეუბნება კვლევა?

5. ბავშვებთან მომუშავე პირებმა უნდა ისწავლონ, როგორ შეაჩერონ ბავშვების მიმართ ძალადობა.

ყველამ, ვინც მუშაობს ბავშვებთან ან ზრუნავს მათზე, უნდა იცოდეს, თუ როგორ შეიძლება ამ ბავშვების დახმარება და მათ მიმართ ძალადობის აღკვეთა. აქ იგულისხმება: მასწავლებლები, ის პირები, რომლებსაც ევალებათ ბავშვებზე ზრუნვა, პოლიციის თანამშრომლები, *ობოლ ბავშვთა თავშესაფრების*, ციხეების ან *დაკავების* სხვა ცენტრების თანამშრომლები, საზოგადოებრივი ლიდერები, რელიგიური ლიდერები და საინფორმაციო საშუალებები.

ყველამ უნდა შეისწავლოს *ბავშვის უფლებები* და უნდა გაიგოს, როგორ შეიძლება ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან აცილება. ბავშვებთან მომუშავეთათვის უნდა არსებობდეს დანერგილი ქცევის კოდექსი (სახელმძღვანელო პრინციპები), სადაც გარკვევით იქნება მითითებული, რომ ბავშვების მიმართ ძალადობა არასდროს არის დასაშვები. ამ კოდექსით განსაზღვრულია რა შეიძლება გააკეთონ და რა არა ბავშვებთან მომუშავე პირებმა. ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტების შესწავლა უნდა გახდეს ადამიანების ცხოვრების ნაწილი. მათ, ვინც ბავშვებთან მუშაობს, უნდა ჩაუტარდეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

15

6. ქვეყანა უნდა დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს და მხარი დაუჭიროს მათ.

ქვეყანამ უნდა გამონახოს საუკეთესო გზები ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დასახმარებლად. მასწავლებლებს, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ ამგვარი ბავშვების დახმარება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი სასწრაფოდ საჭიროებენ ამ დახმარებას. თუ ბავშვი უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, მას უნდა აღმოუჩინონ *ბავშვისადმი კეთილგანწყობილი* იურიდიული დახმარება. ეს ნიშნავს იმ იურისტების და ადვოკატების დახმარებას, ვის გაგებასაც ისინი ადვილად შეძლებენ. განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მომსახურება და იურიდიული სისტემები ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ დააკმაყოფილოს ბავშვის კონკრეტული საჭიროებები.

7. ბავშვებს უნდა შეეძლოთ საკუთარი შეხედულებების გამოხატვა.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ არის სპეციალური მუხლი 12, რომელშიც ნათქვამია, რომ ბავშვს აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელზეც უფროსები იღებენ გადაწყვეტილებას და რომელიც ეხება მას; ანგარიში უნდა გაენიოს ბავშვის შეხედულებებს.

ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ძალადობასა და მის პრევენციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გულდასმით მოუსმინონ ბავშვებს და პატივი სცენ მათ შეხედულებებს. ბავშვებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ამ გადაწყვეტილებების მიღებაში, ხოლო მთავრობამ და სხვა დაინტერესებულმა პირებმა უნდა უზრუნველყონ მათი მონაწილეობა. მათ ასევე მხარი უნდა დაუჭირონ და ხელი შეუწყონ ბავშვთა ორგანიზაციებს და ბავშვების ხელმძღვანელობით განსახორციელებელ ძალადობის საინააღმდეგო პროექტებს, რომლებშიც გათვალისწინებულია ბავშვის ქვეყნის ინტერესები.

16

8. ქვეყნის მთავრობამ ყველას უნდა გაუიოლოს ბავშვებზე ძალადობის ფაქტების შესახებ განცხადებების გაკეთება.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ყველასათვის ადვილი გახდეს ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტების გამოცხადება. ბავშვებმა და უფროსებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორ განაცხადონ ძალადობის შესახებ, რა მოჰყვება ამ განცხადებას, საზიანო იქნება თუ არა შემდგომში მათთვის ეს ფაქტი. მათ უნდა იგრძნონ, რომ დაცულნი არიან და ამ განცხადებისთვის არ დაისჯებიან. იგულისხმება *ობოლ ბავშვთა თავშესაფარში*, ციხეებსა და დაკავების სხვა ცენტრებში მყოფი ბავშვები, რომლებსაც თავისუფლად უნდა შეეძლოთ მიაწოდონ ინფორმაცია ამ დანებსებულ ბავშვის გარეთ მყოფ პირებს მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე.

ძალადობის ფაქტების შესახებ განცხადება შეუძლიათ თვითონ ბავშვებს, მათ მშობლებს ან იმ პირებს, რომლებსაც ევალებათ ბავშვებზე ზრუნვა — სკოლის თანამშრომლებს, ექიმებს, საავადმყოფოების თანამშრომლებს, სოციალური დაცვის მუშაკებს, ბავშვის უფლებების დაცვის ორგანიზაციებს, პოლიციის განყოფილებებისა და ციხეების თანამშრომლებს.

რას გვეუბნება კვლევა?

ყველა ქვეყანაში უნდა იყოს ტელეფონის ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც ბავშვები ან უფროსები განაცხადებენ ძალადობის ფაქტების შესახებ. ცხელი ხაზის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს გასაუბრება კეთილგანწყობილ პირთან, რომელსაც ესმის ეს საკითხი და შეუძლია მხარდაჭერა და რჩევის მიცემა. მთავრობამ ასევე უნდა მოიფიქროს გზები, რაც დაეხმარება ბავშვებსა და უფროსებს ინფორმაცია გადასცენ ინტერნეტით.

9. ქვეყანამ უნდა დასაჯოს ყველა, ვინც ბავშვების მიმართ იყენებს ძალადობას.

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც მიმართავს ძალადობას ბავშვების მიმართ. ბავშვი და მისი გარემომცველი საზოგადოება თუ არ ენდობა პოლიციასა და სასამართლოს, ვერ გადადგამს სერიოზულ ნაბიჯებს ბავშვის მიმართ ძალადობის საწინააღმდეგოდ. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს კანონები, რომლებსაც გამოიყენებენ მათ დასასჯელად, თუკი ისინი არასწორ საქციელს ჩაიდენენ. თუ რომელიმე პირს ბრალად ედება ბავშვზე ძალადობა (ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ჩათვლით), მას აღარასოდეს უნდა მიეცეს ბავშვებთან მუშაობის უფლება.

10. ქვეყანამ ყურადღება უნდა მიაქციოს გოგონებისა და ბიჭების მიმართ განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფორმას.

ძალადობის რისკი გოგონებისა და ბიჭებისათვის ნაირგვარია და დამოკიდებულია როგორც აღზრდის სხვადასხვა მეთოდზე, ისე მათ შორის არსებულ *უთანასწორობაზე*. ხელისუფლებამ ყველას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ქალებისა და გოგონების *უფლებებზე*, უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ქალმა/გოგონამ ისარგებლოს ისეთივე უფლებებით, როგორც სარგებლობენ მამაკაცები/ბიჭები. სახელმწიფოებმა უნდა იმუშაონ, რათა მიაღწიონ უფრო სრულყოფილ თანასწორობას ბიჭებსა და გოგონებს შორის, ყველასათვის ცხადი უნდა გახდეს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ძალადობა; სახელმწიფომ უნდა იმუშაოს ბიჭებსა და გოგონებს შორის მეტი თანასწორობის მისაღწევად. ეს უნდა იყოს ნაწილი იმ გეგმისა, რომელიც ხორციელდება ბავშვების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

გოგონების უმრავლესობა განიცდის სექსუალურ ძალადობას, ძალადობას მეგობარი ბიჭების ან ქმრების მხრიდან, ზოგ რეგიონში — იჩაგრებიან მავნე ადათ-წესების გამო, ან უგულვებელყოფილი არიან, რადგან არიან გოგონები. ბევრი ბიჭის მიმართ გამოიყენება მძიმე *ფიზიკური სასჯელი*, ისინი განიცდიან *ძალადობას* სხვა ახალგაზრდების ან ბანდების მხრიდან.

11. ქვეყანამ უნდა შეაგროვოს და გამოიკვლიოს ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტები.

ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის შეგროვება ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტებზე. მნიშვნელოვანია ყველანაირი ინფორმაცია, რათა გაირკვეს, რა სახის ძალადობას აქვს ადგილი სინამდვილეში. მიღებული უნდა იქნეს სამართლიანი გადაწყვეტილება ძალადობის ფაქტზე რეაგირების ან მისი პრევენციის შესახებ.

18

თითოეულმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო *მონიტორინგის* სისტემის შექმნა, რისი საშუალებითაც მოხდება ქვეყანაში ბავშვების მიმართ ძალადობის მასშტაბების შეფასება. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს რეგულარულად, რათა ადამიანებმა დაინახონ, თუ როგორ ვითარდება მოქმედება ბავშვების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

დაბადებისთანავე აუცილებელია ყველა ბავშვის რეგისტრაციაში გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოსათვის ძნელი იქნება იმის გარკვევა, ნამდვილად არსებობენ ისინი თუ არა, და შესაბამისად, ძნელი იქნება მათი დაცვა ძალადობისაგან (მაგალითად, მათი საზღვარგარეთ წაყვანა სამუშაოდ ან *ადრეული ნაძალადევი ქორწინება*). სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უდემდამო ბავშვებისა და ე.წ. *დაკავებული* ბავშვების შესახებ ინფორმაცია, რათა იზრუნოს მათზე. მნიშვნელოვანი საკითხებია: ბავშვების სქესი, ასაკი, საცხოვრებელი, სად იღებენ განათლებას და რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ამით განისაზღვრება, თუ რომელი ბავშვი იმყოფება ძალადობის უფრო დიდი რისკის წინაშე სხვებთან შედარებით.

სახელმწიფომ უნდა აღწუხოს ძალადობის შემთხვევები, რომლებზედაც გაკეთდა განცხადება. ასევე უნდა აწარმოოს გამოძიება (ფართო *კვლევა*), რაც გულისხმობს

რას გვეუბნება კვლევა?

მშობლებისა და თვით ბავშვების გამოკითხვას, თუ რამდენად განუცდიათ მათ ძალადობა. კვლევა უნდა განხორციელდეს ყველგან (ოჯახში, სკოლაში, სამუშაო ადგილზე, სპეციალურ დანესებულებებსა და საზოგადოებაში) და მასში ასევე უნდა შევიდეს ინტერვიუები, როგორც ბავშვებთან, ისე მათ მშობლებთან. კვლევისას ზედმინევით უნდა მოხდეს გოგონებისა და ბიჭების იმ ჯგუფების შესწავლა, რომლებიც განსაკუთრებით იმყოფებიან ძალადობის რისკის წინაშე.

12. ბავშვების მიმართ ძალადობის შეწყვეტასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რეალური მოქმედების განხორციელება.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ნორმები ბავშვების ძალადობისაგან დასაცავად. აგრეთვე არსებობს სხვა საერთაშორისო კონვენციები, რომლებშიც ნათქვამია, რომ ბოლო უნდა მოეღოს ბავშვების მიმართ ძალადობას. სახელმწიფოების უმრავლესობას ეს ხელშეკრულებები რატიფიცირებული აქვს, ე.ი. თანახმანი არიან შეასრულონ „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ ჩამოყალიბებული უფლებები. მათ კი, ვისაც არ მოუხდენია მათი რატიფიკაცია, სასწრაფოდ უნდა მოახდინონ.

ქვეყნების კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ამ კონვენციებს. ეს უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებულ ფართომასშტაბიან დაცვას. ყველა სახელმწიფო ვალდებულია თავის ქვეყანაში პრაქტიკულად განახორციელოს დანაპირები.

„ნამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ კონვენციის“ რატიფიკაცია უნდა მოახდინონ სახელმწიფოებმა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტები შეძლებენ რეგულარულად შევიდნენ ციხეებსა და დაკავების ცენტრებში, სადაც იმყოფებიან ბავშვები, რათა გაიგონ, დაცულები არიან ისინი თუ არა ძალადობისაგან.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია“ არის ერთ-ერთი ნიმუში საერთაშორისო კონვენციებისა. არსებობს სხვა კონვენციებიც, რომლებიც ეხება სპეციფიკურ საკითხებს.

„ძალადობის კვლევის“ რეკომენდაციით სახელმწიფოებმა პრაქტიკაში უნდა გამოიყენონ ამ კონვენციებში ჩამოყალიბებული ყველა დებულება ბავშვების დაცვასთან დაკავშირებით. ბავშვის ძალადობისაგან დაცვაში ასევე გვხვმარება შემდეგი საერთაშორისო კონვენციები:

- „კონვენცია ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW), რომელიც იცავს ქალებს და გოგონებს უსამართლო მოპყრობისა და ძალადობისაგან.
- ორი სპეციალური საერთაშორისო კანონი („შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ILO) 138-ე და 182-ე კონვენციები) ეხმარება მომუშავე ბავშვებს, უკანონოდ აცხადებს რა 18 წლამდე ახალგაზრდების შრომას, ან ბავშვების შრომას განსაკუთრებით სახიფათო პირობებში.
- გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ და „აღადმიანების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის ოქმი“ იცავს ბავშვებს, რომ ისინი არ ჩამოაცილონ ოჯახებს და რომ არ გამოიყენონ ისინი დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად, პროსტიტუციისათვის ან იძულებითი ქორწინებისათვის.
- „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი“ უზრუნველყოფს ყველა იმ პირის დასჯას, რომელიც ძალადობს იჩენს ბავშვების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც ისინი დანაშაულს სჩადიან საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ამ კონვენციების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ. განმარტებები. სახელმწიფოებმა უშუალოდ უნდა ითანამშრომლონ „ხელშეკრულებათა მონიტორინგის უწყებებთან“, რათა ეს ხელშეკრულებები ნამდვილად გადააქციონ კანონებად და განახორცილონ ისინი თავიანთ ქვეყანაში. ეს უწყებები ეხმარებიან ქვეყნებს აღნიშნულ კონვენციებში ჩამოყალიბებული კანონების განხორცილებაში და აგრეთვე, ისეთი კანონების შემუშავებაში, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვების დაცვას ძალადობისაგან. ქვეყნების მთავრობებმა უნდა მიაწოდონ „ხელშეკრულებათა მონიტორინგის უწყებებს“ ინფორმაცია საკუთარი კანონების შესახებ, რათა მათ შეძლონ დახმარება ძალადობისაგან ბავშვების დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

მომდევნო ნაწილში უფრო დეტალურად არის განხილული „ძალადობის კვლევაში“ მითითებული ხუთი გარემო — ოჯახი, სკოლა, სპეციალური დაწესებულებები, სამუშაო ადგილი და საზოგადოება.

სახლი და ოჯახი

სად ხდება ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ? სახლი და ოჯახი

ოჯახი არის ადგილი, სადაც ადამიანები დაცულად გრძნობენ თავს, სადაც მათ პატივს სცემენ და სადაც მათ არაფრის ეშინიათ.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ ნათქვამია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვებზე სათანადო ზრუნვა და დაიცვას ისინი ძალადობისაგან, აბუჩად აგდებისა და უყურადღებობისაგან მათი მშობლების ან მათზე მზრუნველი პირების მხრიდან.

ოჯახი არის ჩვეული გარემო ყველასათვის, განსაკუთრებით — ბავშვებისათვის, რომლებიც იქ ვითარდებიან და თავს გრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ბევრი ბავშვია, რომლისთვისაც ოჯახი სულაც არ არის უსაფრთხო ადგილი. ოჯახში ძალადობა უმეტესად დაფარულად ხდება. ხშირად ბავშვები ცდილობენ ილაპარაკონ ძალადობაზე ოჯახში, უფროსები კი ამას უარყოფენ.

„აი, ამ ორი ხელით დედაჩემი გულში მიხუტებს, მივლის — მე ეს ძალიან მომწონს. ამავე ორი ხელით დედაჩემი მცემს — ეს კი მძულს.“
პატარა გოგონა. აღმოსავლეთი აზია.

რა სახისაა ძალადობა ოჯახში?

- **ძალადობა ძალიან პატარა ბავშვების მიმართ** — ძალადობის შედეგად შეიძლება ბავშვი დაავადდეს ხანგრძლივად და მოკვდეს კიდევ. მაგალითად, ბავშვის შენჯღრევამ შეიძლება გამოიწვიოს ტვინის დაზიანება და ბავშვის სიკვდილი.
- **ფიზიკური ძალადობა** — ხშირად ფიზიკური ძალადობა არ იწვევს სიკვდილს ან ხანგრძლივ დაზიანებას. უმეტეს შემთხვევაში ამას მიმართავენ ბავშვის

„მოსარჯულებლად“. ბავშვისადმი უხეში მოპყრობა და მისი დასჯა ხდება მთელ მსოფლიოში. თუმცა, ბავშვები თვლიან, რომ დისციპლინის დამყარება შესაძლებელია ფიზიკური თუ დამამცირებელი სასჯელის გარეშეც. მსოფლიოში მხოლოდ 16 ქვეყანას აქვს კანონი, რომელიც კრძალავს ოჯახში ბავშვების ფიზიკურ დასჯას.

- **ფსიქოლოგიური ძალადობა** — ხშირად ოჯახებში ბავშვების დასასჯელად ფიზიკურთან ერთად მიმართავენ ფსიქოლოგიურ ძალადობასაც. ბავშვის შეურაცხყოფა, მისთვის დამამცირებელი სახელების წოდება, მუქარა, იზოლირება ან უყურადღებობა წარმოადგენს ძალადობის სხვადასხვა ფორმას.
- **უყურადღებობა** — როდესაც ოჯახი არ უზრუნველყოფს ბავშვის ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას, რომ ის გაიზარდოს უსაფრთხო გარემოში და იყოს ჯანმრთელი, არ იცავს მას საფრთხისაგან. უყურადღებობის რისკის წინაშე ძირითადად დგანან გოგონები და უნარშეზღუდული ბავშვები.
- **სექსუალური ძალადობა** — ბავშვებს აიძულებენ სექსობრივ კავშირს, ცდილობენ მათ ცდუნებას ან უხამსად ეხებიან. ეს ხშირად ხდება მათი ოჯახის მამაკაცებისა და ბიჭებისაგან. ოჯახში გოგონებისა და ბიჭების მიმართ სექსუალურ ძალადობა მოდის ოჯახის წევრი მამაკაცებისგან. 15 წლის ასაკს მიტანებული გოგონების 1-დან 21 პროცენტამდე განიცდის სექსუალურ ძალადობას.
- **ნადრევი ქორწინება** — მსოფლიოში 82 მილიონი გოგონა ქორწინდება 18 წლის ასაკამდე. ბევრი მათგანი გაცილებით ახალგაზრდაა და მათ აძალევენ დაქორწინდნენ უფროს მამაკაცებზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალადობას, მათ შორის, ძალდატანებით სექსობრივ კავშირს.
- **მავნე ტრადიციული ადათ-წესები** — ზოგჯერ ტრადიციული ადათ-წესები გულისხმობს ძალადობას ბავშვების მიმართ. მაგალითად:
 - ქალების სასქესო ორგანოების მუტილაცია (ოპერაცია სექსობრივი ორგანოების დასახიჩრების მიზნით): მსოფლიოში 100-140 მილიონ გოგონას და ქალს აქვს გადატანილი სასქესო ორგანოების მუტილაცია.
 - სხეულის „მოხატვა“ ტრილობების მიყენებით, დაღის დასმით, სხეულის ამონვით ან სხვა მტკიცენიული საშუალებით.
 - ძალადობრივი რიტუალები: არასრულწლოვან გოგონებსა და ბიჭებს აიძულებენ მონაწილეობა მიიღონ ძალადობრივ რიტუალებში, ან ამგვარ რიტუალებში ძალადობენ მათზე.

სახლი და მჯახი

- *მკვლელობა ღირსების დასაცავად*: ასეთ დროს მამაკაცი კლავს გოგონას ოჯახის „ღირსების“ დასაცავად, მაგალითად, ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირისათვის ან წინასწარი გარიგებით ქორწინებაზე უარისათვის.
- ზოგჯერ ბავშვს სწამებენ „ჯადოქრობას“ და უარს ამბობენ მის მოვლა-პატრონობაზე, *აბუჩად იგდებენ* მას და კლავენ კიდევაც. ზოგიერთ მათგანს ბრალად სდებენ „ჯადოქრულ“ რიტუალებში მონაწილეობას.
- ოჯახური ძალადობის ფაქტის მონმე — მსოფლიოში 133-დან 275 მილიონამდე ბავშვი საკუთარ სახლში ხდება ოჯახური ძალადობის მონმე. ეს ძალადობა ძირითადად ხდება მშობლებს შორის. ამგვარმა ძალადობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე, მის განვითარებაზე და აისახოს მის მომავალ ქცევაზე სხვების მიმართ. იმ ოჯახში, სადაც ადგილი აქვს ძალადობას ქალის მიმართ, ხშირია ბავშვის მიმართ ძალადობაც.

მშობლები, დედინაცვალი და მამინაცვალი, დედობილი და მამობილი, და-ძმები, ნათესავები და სხვები, ვისაც აკისრია ბავშვებზე მზრუნველობა, პასუხს აგებენ ბავშვის მიმართ ძალადობაზე ოჯახში.

23

ვინ განიცდის ძალადობას ოჯახში?

ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი ბავშვის მიმართ, ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფიდან, ნებისმიერ ასაკში, იქნება ის მდიდარი თუ ღარიბი. *ფიზიკური სასჯელი* ჩვეულებრივი მოვლენაა მთელ მსოფლიოში. ბავშვებს სცემენ მშობლები ან მათ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები როგორც ჩვილ, ისე მოზრდილ ასაკში.

სექსუალური ძალადობა უმთავრესად ხორციელდება გოგონების მიმართ, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს ბიჭების მიმართაც. მანვე ტრადიციების მსხვერპლიც უფრო ხშირად გოგონები ხდებიან. მსოფლიოს ზოგ ადგილას სრული *უყურადღებობისა* თუ ძალადობის შედეგად უმეტესად იხოცებიან გოგონები. ასევე ხშირად განიცდიან ძალადობას უნარშეზღუდული ბავშვები, ხშირია მათი მიტოვების ფაქტებიც.

ბევრ შემთხვევაში მშობლები ძალადობას მიმართავენ იმიტომ, რომ, მათი აზრით, *ფიზიკური სასჯელი* აუცილებელია ბავშვის განათლებისა და აღზრდისათვის, ან, უბრალოდ, მათ არ იციან აღზრდის სხვა მეთოდები.

რა უნდა გაკეთდეს?

მთავარი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდაზე ყოველთვის უნდა ეკისრებოდეს მშობლებს, სახელმწიფო კი უნდა ეხმარებოდეს მათ. დახმარება გამოიხატება შემდეგში:

- მშობლებისა და ბავშვებზე პასუხისმგებელი სხვა პირების მხარდაჭერა. საჭიროა მაღალი დონის ჯანდაცვისა და განათლების სისტემები, ასევე, სამუშაო უფროსებისათვის, რათა მათ ჰქონდეთ საკმარისი ფული თავიანთი ოჯახების სარჩენად. მშობლებს უნდა შეეძლოთ საჭირო რჩევის, მხარდაჭერისა და ინფორმაციის მიღება, თუ როგორ დაეხმარონ თავიანთ შვილებს, რომ ადრეული ასაკიდანვე განვითარდნენ სწორად. ახალშობილი ბავშვების ჯანმრთელობის შესამოწმებლად საჭიროა ექიმები და ჯანდაცვის სხვა სამედიცინო მუშაკები რეგულარულად სტუმრობდნენ ოჯახებს.
- დამატებითი დახმარება განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის. მაგალითად, სპეციალურ დახმარებას საჭიროებენ ოჯახები, სადაც არ არის დედა ან მამა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს, რომლებიც არიან დისკრიმინირებულნი ან სადაც ზრდიან უნარშეზღუდულ ბავშვებს.
- ოჯახების მხარდაჭერის, რჩევებისა და ინფორმაციის მიცემის უზრუნველყოფა, რათა ამ ოჯახებში არ ჰქონდეს ადგილი ძალადობას. მშობლებს (დედებს და მამებს) უნდა შეეძლოთ ინფორმაციის მიღება იმის თაობაზე, თუ მშვიდობიანი გზით როგორ მოაგვარონ კონფლიქტები და როგორ დაამყარონ *დისციპლინა* ოჯახში; მათ უნდა გააგებინონ, რომ გოგონებსა და ბიჭებს აქვთ ერთნაირი უფლებები. მათ აგრეთვე მეტი უნდა ისწავლონ ბავშვის განვითარების შესახებ, რომ ბავშვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზრდის პროცესში მათი შეხედულებების გათვალისწინებას.

სკოლები და სასწავლო დაწესებულებები

სად ხდება ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ?

სკოლები და სასწავლო დაწესებულებები

სკოლა უნდა იყოს უსაფრთხო ადგილი, სადაც სუფევს ბავშვებისათვის სასიამოვნო გარემო: ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება ძალადობის გარეშე.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 28-ე მუხლში ნათქვამია, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, ხოლო სასკოლო დისციპლინის დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მეთოდებით, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემას. სკოლა, სადაც ხდება ძალადობა, ვერ მისცემს ბავშვს სათანადო განათლებას.

მრავალ ქვეყანაში ბავშვები ყველაზე დიდ დროს ატარებენ სკოლაში, ვიდრე სხვაგან, სახლის გარეთ. სკოლამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ბავშვის ძალადობისაგან დაცვის საქმეში.

მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში ფიზიკური სასჯელი სასკოლო ცხოვრების ჩეულებრივ მოვლენად ითვლება. მასწავლებლებს შეუძლიათ იყვნენ სასტიკნი, დასცინონ ბავშვებს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენონ მათ, ხანდახან კი სექსუალურ ძალადობასაც კი მიმართავენ. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ამით ისინი აიძულებენ ბავშვებს უკეთ ისწავლონ ან აჩვენებენ მათ თავიანთ ძალას. ძალადობრივი მეთოდებით დისციპლინის დაცვა აშინებს ბავშვებს, მაგრამ არ აძლევს საკუთარი ინიციატივის გამოჩენის საშუალებას. ის ასწავლის მათ, რომ ძალადობა კარგი საშუალებაა კონფლიქტების მოსაგვარებლად, მაგრამ არ ასწავლის მათ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა და სამართლიანობა. შეიძლება ამით ბავშვებს საკუთარი თავის მიმართ არასრულფასოვნების კომპლექსი გამოუმუშავდეთ.

ბავშვების მიერ ერთმანეთის დაშინება შეიძლება არ იყოს შეფასებული, როგორც სერიოზული პრობლემა. ბევრ ქვეყანას არა აქვს კანონები სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების დისკრიმინაციისაგან დასაცავად.

რა სახის ძალადობა ხდება სკოლაში?

- **ფიზიკური ძალადობა მასწავლებლების მხრიდან** — მასწავლებელმა შეიძლება ცემა გამოიყენოს სასჯელის ფორმად, თუკი მოსწავლეს სათანადოდ არა აქვს შესრულებული დავალება. მსოფლიოს 106 ქვეყანას არა აქვს აკრძალული ფიზიკური სასჯელი სკოლაში.
- **სასტიკი მოპყრობა და დაცინვა მასწავლებლების მხრიდან** — მასწავლებელი უყვირის მოსწავლეს და უწოდებს დამამცირებელ სახელებს.
- **დაშინება: ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა სხვა მოსწავლეების მხრიდან** — შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩხუბს ან დაშინებას სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს შორის. დაშინება ხშირ შემთხვევებში სიტყვიერად გამოიხატება — დამამცირებელი სახელების წოდებითა და შეურაცხყოფით. შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფიზიკურ ძალადობასაც. მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ წინა თვის განმავლობაში მოსწავლეების 20-დან 60 პროცენტამდე განიცდიდა დაშინებას სკოლაში.
- **სექსუალური და გენდერული ძალადობა** — გოგონებს შეიძლება ავიწროვებდნენ სიტყვიერად, აბუჩად იგდებდნენ ან აუპატიურებდნენ სკოლაში ან სკოლის გზაზე მამაკაცი მასწავლებლები და/ან თანაკლასელი ბიჭები. ხშირად ძალადობა ხდება ჰომოსექსუალისტების, ლესბოსელების, ბისექსუალისტების ან ტრანსგენდერების მიმართ.

26

ვინ განიცდის ძალადობას სკოლებში?

სკოლებში ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი ასაკის ბავშვების მიმართ. შეიძლება სცემონ მცირეწლოვან ბავშვს ან მასწავლებლებმა/სხვა მოსწავლეებმა მის მიმართ გამოიყენონ ძალადობის სხვა ფორმები.

ბიჭებისგან მიღებული ინფორმაციით, ისინი განიცდიან ფიზიკურ ძალადობას, მათ დასცინიან და სასტიკად ექცევიან მასწავლებლები. გოგონებსაც აწუხებთ იგივე პრობლემები, ამასთან, უფრო მეტად არიან სექსუალური შევიწროვების, აბუჩად აგდებისა და გაუპატიურების რისკის წინაშე მასწავლებლების ან მოსწავლე ბიჭების მხრიდან.

სკოლები და სხვადასხვა დაწესებულებები

დაშინება და დამამცირებელი სახელების ნოდება ანუხებს როგორც ბიჭებს, ისე გოგონებს მთელ მსოფლიოში. ეს განსაკუთრებით შეიძლება შეეხოს უნარშეზღუდულ, სხვადასხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წევრ, ჰომოსექსუალისტ ან ლესბოსელ ბავშვებს, თავიანთი თავისებურებების გამო.

რა უნდა გაკეთდეს?

სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეს შეეძლება ისწავლოს ყოველგვარი ძალადობის გარეშე. სკოლა უნდა იყოს უსაფრთხო და ბავშვისათვის სასიამოვნო გარემო. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, თუ რა უფლებები აქვთ. სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ბავშვები ისწავლიან, რომ ძალადობა არასოდესაა ნებადართული, რომ მათ შეიძლება იცხოვრონ ყოველგვარი ძალადობის გარეშე. ამგვარად, ქვეყნის მთავრობამ უნდა:

- უზრუნველყოს სკოლებში ქცევის კოდექსის (ინსტრუქციების) არსებობა თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის, რომელიც კრძალავს ძალადობას და გვიჩვენებს, როგორ მოვიქცეთ ძალადობის გარეშე. სკოლებმა უნდა განმარტონ, რომ დისკრიმინაცია არანაირი ფორმით არ არის დაშვებული, ცუდად მოპყრობა არ შეიძლება არც გოგონებთან და არც ბიჭებთან, არ შეიძლება მათი დაჩაგვრა გენდერული კუთვნილების გამო.
- უზრუნველყოს კარგი სასწავლო პროგრამები, რომელთა საშუალებითაც მასწავლებლები, სკოლის სხვა პერსონალი და მშობლები გაიგებენ, თუ როგორ უნდა დაამყარონ დისციპლინა ძალადობის, მუქარის ან ბავშვების დაცინვის გარეშე.
- უზრუნველყოს სკოლებში ცოდნის მიღება და ისეთი ურთიერთობებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომელიც ასწავლის ბავშვებს, როგორ იცხოვრონ ძალადობის გარეშე ან როგორ შეებრძოლონ ძალადობას, თუკი დადგებიან ამგვარი საფრთხის წინაშე. სკოლებმა უნდა გაილაშქრონ დაშინების წინააღმდეგ და ხელი შეუწყონ ყველას მიმართ პასტივისცემის გრძნობის განვითარებას.
- უზრუნველყოს, რომ სკოლებში ისწავლებოდეს ბავშვთა უფლებები და „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია“. სწავლების მეთოდები არავის უნდა აძლევდეს ძალადობის საშუალებას.

სად ხდება ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ? სპეციალური დანესებულებები

„ძალადობის კვლევაში“ ყურადღება გამახვილდა ბავშვებზე, რომლებიც არ ცხოვრობენ თავიანთ სახლებში და თავიანთ ოჯახებთან. ამის მიზეზებია: როცა ოჯახებს აღარ შეუძლიათ ბავშვებზე ზრუნვა, ან როცა ბავშვი არის კანონდამრღვევი. ამ თავში განხილულია, თუ რა მოელის ბავშვს, რომელზე ზრუნვაც აღარ შეუძლია ოჯახს.

ოპოლ ბავშვთა თავშესაფარი, საბავშვო სახლები და სხვა სპეციალური დანესებულებები

სპეციალური დანესებულებები არის ადგილი, სადაც ბავშვები ცხოვრობენ ერთად და მათზე ზრუნავენ უფროსები, რომლებიც არ არიან მათი ნამდვილი ოჯახის წევრები. *ოპოლ ბავშვთა თავშესაფარი* ან *ბავშვთა სახლები* წარმოადგენს ამ ტიპის დანესებულებებს.

28

სპეციალური დანესებულება არის უკანასკნელი ადგილი, სადაც შეიძლება აღიზარდოს ბავშვი. ამგვარ დანესებულებაში ბავშვი შეიძლება მოთავსდეს, თუ არ არსებობს მასზე ზრუნვის სხვა საშუალება. თუ ბავშვი მაინც მოხვდება ამგვარ დანესებულებაში, ის უნდა იყოს უსაფრთხოდ და უნდა იყოს დაცული.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ ბავშვს უნდა იცავდეს ყველა ის პირი, ვინც ზრუნავს მასზე და მის მიმართ ძალადობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მე-20 მუხლში კი აღნიშნულია, რომ იმ ბავშვზე, რომელზედაც ოჯახი ვერ ზრუნავს, უნდა იზრუნონ ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც პატივს სცემენ მის რელიგიას, კულტურას და ენას.

საქონილური დამსახურებები

მსოფლიოში დაახლოებით 8 მილიონი ბავშვია, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახებიდან მოშორებით, *ობოლ ბავშვთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში*.

ზოგჯერ ბავშვებს სპეციალურ დაწესებულებებში ათავსებენ იმის გამო, რომ მათ არა ჰყავთ მშობლები, რომლებიც მათზე იზრუნებენ. თუმცა, ხშირად ობოლ ბავშვთა თავშესაფრებში მყოფ ბავშვებს ჰყავთ მშობლები, მაგრამ ისინი ძალიან ღარიბები არიან და უამრავი პრობლემა აქვთ. ბავშვები თავშესაფარში შეიძლება მოხვდნენ ოჯახში ძალადობის (ზოგჯერ სექსუალური ძალადობის) გამო, როდესაც არ არსებობს ბავშვზე მზრუნველი სხვა პირი და ბავშვს არ შეუძლია დარჩეს თავის საცხოვრებელ ადგილზე. ასეთ შემთხვევებში სპეციალური დაწესებულება არის ის ერთადერთი ადგილი, სადაც მას შეუძლია ცხოვრება.

სპეციალურ დაწესებულებებში ათავსებენ, აგრეთვე, იმ ბავშვებს, რომლებიც განიცდიან *დისკრიმინაციას*, მაგალითად, უნარშეზღუდულ ახალგაზრდებს. არსებობს შემთხვევები, როდესაც ბავშვებს, რომლებიც ეკუთვნიან ეროვნულ უმცირესობას, განზრახ ათავსებენ ბავშვთა სახლებში, რათა მოწყვიტონ თავიანთ კულტურასა და რელიგიას.

ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ სახლიდან მოცილებით, დგანან ძალადობის საფრთხის წინაშე მომსახურე პერსონალისა და სხვა ბავშვების მხრიდან. სპეციალურ დაწესებულებებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალადობას, თუმცა ამგვარ შემთხვევათა 80 პროცენტის შესახებ ინფორმაციას არ იძლევიან თვითონ ბავშვები.

29

რა სახის ძალადობას აქვს ადგილი სპეციალურ დაწესებულებებში, რომლებსაც ევალებათ ბავშვებზე ზრუნვა?

- **ძალადობა თანამშრომლების მხრიდან** — გამოიყენება *დისციპლინის* დასამყარებლად. ეს შეიძლება იყოს ცემა, თავის კედელზე მირტყმა, დაბმა, ჩაკეტვა ან იძულება, რომ დღეების განმავლობაში ბავშვები იწვნენ ლოგინში და არ გამოიცვალონ ტანსაცმელი. შეიძლება ადგილი ჰქონდეს სექსუალურ ძალადობას მომსახურე პერსონალის მხრიდან. მსოფლიოს 147 ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც უკრძალავს სპეციალურ დაწესებულებებში მომუშავე პირებს *ფიზიკური სასჯელის* გამოყენებას იქ მცხოვრები ბავშვების მიმართ.

- **ძალადობა, როგორც „მკურნალობის“ მეთოდი** — ძალადობას ბავშვებზე ზოგჯერ უწოდებენ „მკურნალობას“, როგორც, მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში განკურნების იმედით ელექტროშოკით მკურნალობენ ფსიქიკურად დაავადებულებს.
- **უყურადღებობა** — ხშირად ბავშვებზე ისე არ ზრუნავენ, როგორც საჭიროა. ეს რისკი ყველაზე მეტად ემუქრებათ უნარშეზღუდულ ბავშვებს. უნარშეზღუდულ ბავშვთა ბევრ დაწესებულებაში არ არის გათვალისწინებული მათი განათლება ან გართობა. არაფერი კეთდება ბავშვების განვითარებისათვის. ხშირად ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წვანან ლოგინში და არ აქვთ კავშირი სხვა ადამიანებთან. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები.
- **ძალადობა სხვა ბავშვების მხრიდან** — ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ძალადობა, დამამცირებელი სახელების წოდება ან სხვა შეურაცხმყოფელი ქმედება.

ვინ განიცდის ძალადობას ობოლ ბავშვთა თავშესაფარი?

30

ბევრი ბავშვი, რომელიც ცხოვრობს სპეციალურ დაწესებულებაში, იმყოფება ძალადობის რისკის წინაშე. ამგვარი ძალადობა ზოგჯერ ხდება დაწესებულების მომსახურე პერსონალის თანხმობით, რადგან იქ ძალიან ბევრი ბავშვი ცხოვრობს, მომსახურე პერსონალი კი არ არის სათანადოდ მომზადებული ან დაწესებულებას არა აქვს საკმარისი ფული, რომ სათანადოდ წარმართოს საქმე. ძალადობა შეიძლება მოხდეს, აგრეთვე, არაკვალიფიციური მომსახურე პერსონალის გამო. მათ შეიძლება არ იცოდნენ როგორ შეაჩერონ ძალადობა, არ ჰქონდეთ დრო ამისათვის ან სათანადო უნარ-ჩვევები სიტუაციის დასარეგულირებლად. ძალადობის რისკი ასევე დიდია, თუ არ არსებობს ბავშვთა მოვლის მაკონტროლირებელი სისტემა. სპეციალურ დაწესებულებებში უყურადღებოდ უფრო მეტად უნარშეზღუდული ბავშვები არიან.

საქმიანო დამსახურებები

სამართლდამცავი სისტემა, ციხე და დაკავების ცენტრები

ციხეში ან დაკავების ცენტრებში ბავშვების მოთავსება უნდა ხდებოდეს უკიდურეს შემთხვევაში. კანონდამრღვევი ბავშვები მოთავსებული უნდა იყვნენ სპეციალურად ბავშვებისათვის განკუთვნილ ადგილებში, სადაც მომსახურე პერსონალმა უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა ძალადობისაგან.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 37-ე მუხლში ნათქვამია, რომ კანონდამრღვევ ბავშვებს არ უნდა მოეპყრონ სასტიკად, ისინი არ უნდა მოათავსონ ციხეში უფროსებთან ერთად და უნდა მისცენ ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლება. მე-40 მუხლში დამატებულია, რომ ბავშვების მიერ სასჯელის ციხეში მოხდის განაჩენი გამოტანილი უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურესად სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა, კანონდამრღვევი ბავშვების ციხეში მოთავსება ხშირად სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, მიუხედავად იმისა, რომ მათ უმეტეს შემთხვევაში ჩადენილი აქვთ მსუბუქი დანაშაული, ან ისეთი ქმედება, რომელიც შეიძლება არც იქნეს კვალიფიცირებული, როგორც დანაშაული. მაგალითად, როდესაც ბავშვი უსახლკაროა და ცხოვრობს ქუჩაში. მსოფლიოში 1 მილიონი ბავშვია თავისუფლებადკვეთილი. ბევრ ქვეყანაში ბავშვებს ციხეში ათავსებენ უფროსებთან ერთად, ზოგჯერ — ერთსა და იმავე საკანშიც კი. ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ გამოიყენება სიკვდილით დასჯა 18 წლამდე ასაკის მოზარდების შემთხვევაში.

დაკავება არის დასჯის მიზნით ბავშვის ჩაკეტვა მისი ნების საწინააღმდეგოდ. ის შეიძლება გამოამწყვდიონ ციხეში, ახალგაზრდა დამნაშავეთა დანესებულებაში ან ბავშვთა სახლში.

ციხეში მოთავსების ან დაკავების სხვა ფორმების შემთხვევაში ბავშვები იმყოფებიან მძიმე პირობებში, მათ ხშირად ჩაგრავს მომსახურე პერსონალი ან სხვა პატიმრები. ხშირად ციხეში ან დაკავების ადგილებში ბავშვები სწავლობენ უფრო მეტ ძალადობას. ზოგიერთი მათგანი ზიანს აყენებს საკუთარ თავს ან თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს.

„ხანდახან ციხეში გატარებული ერთი დღე ერთი წლის ტოლფასია. თუმცა, ათი დღის შემდეგ ყველაფერს ეგუები და ბევრს აღარ ტირი.“
ბიჭი. ახლო აღმოსავლეთი.

რა სახისაა ძალადობა კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ?

- **ფიზიკური სასჯელი** — ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვს, რომელიც ჩაიდენს დანაშაულს, ემუქრება ფიზიკური სასჯელი — ჯოხით ცემა ან განკეპლვა. 31 ქვეყანაში ბავშვების ფიზიკური დასჯა ჯერ კიდევ ითვლება სასჯელის კანონიერ ფორმად. ზოგ ქვეყანაში კი ბავშვების მიმართ სიკვდილით დასჯაც კი გამოიყენება.
- **ძალადობა მომსახურე პერსონალის მხრიდან** — ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან ციხეში ან დაკავებული არიან სხვადასხვა ადგილებში, დგანან ძალადობის რისკის წინაშე იმ დანესებულებების პოლიციისა თუ დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან. მაგალითად, ბავშვებსა და ახალგაზრდებს ზოგჯერ სცემენ, ათავსებენ იზოლატორში სხვა ბავშვებისა და ახალგაზრდებისაგან მოშორებით, არ აქცევენ ყურადღებას, როდესაც მათ ესაჭიროებათ დახმარება, ან დასჯის მიზნით არ აწვდიან საკვებს. სექსუალური ძალადობის საფრთხის წინაშე განსაკუთრებით დგანან გოგონები, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ზედამხედველები მამაკაცები არიან.
- **ძალადობა სხვა ახალგაზრდების ან უფროსების მხრიდან** – ერთსა და იმავე ციხეში, დაკავების ცენტრში ან საკანში მყოფი ახალგაზრდებიც შეიძლება იჩენდნენ ფიზიკურ, სიტყვიერ ან სექსუალურ ძალადობას ერთმანეთის მიმართ.

32

ვინ განიცდის ძალადობას დაკავების ცენტრებში?

ციხესა და დაკავების ცენტრებში გოგონებზე უფრო ხშირად ბიჭები ხვდებიან. ბევრი მათგანი ძალადობის საფრთხის წინაშე დგას. ეს უფრო ხშირად ხდება, თუკი ბავშვი უნარშეზღუდული ან ეკუთვნის *ეროვნულ უმცირესობას*. ხშირად ციხესა და დაკავების ცენტრებში ძალადობას განიცდიან შედარებით ახალგაზრდები და სუსტები.

სახელმწიფო დაწესებულებები

რა უნდა გაკეთდეს?

სახელმწიფო პასუხისმგებელია იმ ბავშვების უსაფრთხოებაზე, რომლებიც იმყოფებიან სპეციალურ დაწესებულებებში ან დაკავების ცენტრებში. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ამ დაწესებულებების — დაკავების ცენტრების ან ობოლ ბავშვთა თავშესაფრების — მართვის მიზნით დაქირავებულმა ადამიანებმა დაიცვან ბავშვები ძალადობისაგან. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი:

- ბავშვები მაშინვე არ მოათავსონ სპეციალურ დაწესებულებებში. სახელმწიფომ უნდა გამონახოს უკეთესი გზა კანონდამრღვევი თუ მშობლებისაგან დაცლილებული ბავშვების პრობლემების მოსაგვარებლად. საჭიროა ოჯახებისა და საზოგადოების უფრო მეტად მხარდაჭერა, რათა ბავშვებზე ზრუნავდნენ ოჯახურ გარემოში (მაგ.: *შვილად აყვანა*). ერთ ნლამდე ასაკისა და ჩვილი ბავშვები არ უნდა მოათავსონ რაიმე სახის დაწესებულებაში.
- თუკი შესაძლებელია, ბავშვი სპეციალური დაწესებულებიდან უნდა დაბრუნდეს საკუთარ ოჯახში. ამგვარ შემთხვევაში ბავშვებსა და მათ ოჯახებს უნდა გაენიოთ დახმარება და მიეცეთ რჩევები. აუცილებელია, რომ ამ ოჯახებს დაეხმარონ გამოცდილი სოციალური მუშაკები. ბავშვები, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, მათ შორის, აბორიგენი ბავშვები, იმყოფებიან განსაკუთრებული რისკის წინაშე და დახმარება, რომელსაც აღმოუჩენენ მათ ოჯახებს, უნდა ითვალისწინებს მათი კულტურის პატივისცემასაც.
- უნდა შეცვალოს კანონი, რათა ზოგიერთ ქმედებას არ მიეცეს დანაშაულის კვალიფიკაცია. ზოგი ქმედება ხშირად დანაშაულად ითვლება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სჩადიან ბავშვები. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები ისჯებიან ქმედებებისთვის, რაც ჩადინეს თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად, ან უფროსების ძალდატანებით (უკანონო ქმედება), ან როცა თავად იყვნენ მსხვერპლის როლში. ამის მაგალითებია:
 - *სკოლის გაცდენა.*
 - სახლიდან გაქცევა.
 - „კონტროლიდან გამოსვლა“ — ბავშვი არ იქცევა ისე, როგორც ეს მშობელს ან სხვა უფროსებს სურთ.
 - მათხოვრობა.
 - სხეულით ვაჭრობა.
 - ნაგვის შეგროვება — ნაგავში ან ქუჩაში საგნების ძიება მათი გაყიდვის მიზნით.

- უსაქმოდ ხეტიალი;
 - მანანალობა — ბავშვს არა აქვს სახლი და ცხოვრობს ქუჩაში;
 - ტრეფიკინგის მსხვერპლი.
 - დანაშაული უფროსების ძალდატანებით.
- ბავშვის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის რეალურ საფრთხეს უქმნის სხვებს. *კანონდამრღვევი* ბავშვებისათვის განკუთვნილ დაწესებულებათა სისტემებში შექმნილი უნდა იყოს *ბავშვებისათვის სასიამოვნო* გარემო და ისინი განცალკევებული უნდა იყვნენ უფროსებისაგან. ბავშვებს უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა გზით გამოასწორონ თავიანთი დანაშაული. ამასთან, უნდა გამოიძებნოს *დაკავების* ალტერნატიული ზომები.
 - საჭიროა სპეციალურ დაწესებულებებსა ან *დაკავების* ცენტრებში მოთავსებული ბავშვების სისტემატურად მოინახულება იმის დასადგენად, თუ რამდენად ოპტიმალურია ეს ადგილსამყოფელი მათთვის, თუ არსებობს უკეთესი არჩევანი — მაგალითად, მათი დაბრუნება ოჯახში ან უწინდელ საცხოვრებელში.
 - ბავშვებმა უნდა იცოდნენ, თუ როდის შეუძლიათ უსაფრთხოდ განაცხადონ სასტიკად მოპყრობის შესახებ და არ ეშინოდეთ დასჯის, მუქარის ან აბუჩად აგდებისა.
 - სპეციალურ დაწესებულებებსა და *დაკავების* ცენტრებში მყოფმა ბავშვებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებების შესახებ, რომ მათ შეუძლიათ უშიშრად განაცხადონ მათი უფლებების ნებისმიერი დარღვევის შესახებ.
 - რეგულარულად უნდა ხდებოდეს ისეთი დაწესებულებების შემოწმება, როგორცაა *დაკავების* ცენტრები, რათა იქ, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, კარგად ეპყრობოდნენ ბავშვებს და მათ უვლიდნენ სათანადო კვლავიკაცის მქონე თანამშრომლები. ამგვარი დაწესებულებებისა და *დაკავების* ცენტრების კონტროლი უნდა ხდებოდეს დამოუკიდებელი ადამიანების მიერ, ანუ მათ არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ მოცემული დაწესებულების თანამშრომლებთან. მათ უნდა ჰქონდეთ უფლება მოულოდნელად ესტუმრონ დაწესებულებას, შეისწავლონ ნებისმიერი განცხადება ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით და პირისპირ გაესაუბრონ ბავშვებსა და თანამშრომლებს. გასათვალისწინებელია *წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი* — საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ციხეში მყოფი ადამიანების წამება. ეს ხელშეკრულება აგრეთვე იძლევა თავისუფალი ვიზიტების სისტემის შექმნის საშუალებას, რათა შემოწმდეს რამდენად კარგად ეპყრობიან დაკავებულ ბავშვებსა და სხვა პატიმრებს.

სამუშაო ადგილი

სად ხდება ქალაქობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ? სამუშაო ადგილი

მიუხედავად იმისა, კანონიერად მუშაობენ ბავშვები თუ უკანონოდ, მათი სამუშაო ადგილი უნდა იყოს უსაფრთხო, არ უნდა იყოს ჯანმრთელობისათვის საზიანო და იქ არ უნდა ხდებოდეს ძალადობა.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 32-ე მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვები ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც სახიფათოა ან მავნე მათი ჯანმრთელობისთვის, ან მთლიანად უშლის ხელს მათ სწავლა-განათლებას. ბევრი ბავშვი იძულებულია იმუშაოს დიდი ხნის მანძილზე. სამუშაო მათ სჭირდებათ საკვებისა და ღამის გასათევისათვის საჭირო ფულის საშოვნელად. ზოგჯერ მათ მუშაობას მშობლები ან სხვა უფროსები აიძულებენ.

ბავშვები მუშაობენ მინდვრებში, ფაბრიკებში, მაღაროებში, ქუჩებში, ბაზრებში, მაღაზიებში, ბარებში, ბორდელებში, სატრანსპორტო საშუალებებსა და ოჯახებში. ბევრი ბავშვი იძულებულია იმუშაოს ისეთ გარემოში, რომელიც მავნეა მისი ჯანმრთელობისათვის. ბევრ ბავშვს აიძულებენ აკეთოს არაკანონიერი საქმე, მაგალითად, ჩაებას პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში. 16 წლამდე ასაკის გოგონებისათვის ყველაზე ჩვეულებრივი საქმიანობაა შინამოსამსახურის სამუშაო (საშინაო საქმის კეთება ვინმეს ოჯახში), სადაც ის არ არის დაცული, როგორც მომსახურე პირი. ოჯახებში მომსახურე ბავშვებს ხშირად ძალიან ცუდად ექცევიან, ცუდად უხდიან ან საერთოდ არ უხდიან, ხან კი მონებადაც ყიდიან.

35

მიუხედავად იმისა, რომ მომუშავე ბავშვების რაოდენობა ბოლო წლებში შემცირდა, მაინც ბევრი ბავშვია იძულებული, რომ იმუშაოს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით, 2004 წელს 218 მილიონი ბავშვი იყო ჩაბმული შრომაში, აქედან 126 მილიონი ასრულებდა სახიფათო სამუშაოს. 5-7 მილიონი ბავშვი მუშაობდა იძულებით (იძულებითი და ვალის გადახდის სანაცვლო შრომა). 1.8 მილიონი ბავშვი ჩაბმული იყო პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში, ხოლო 1.2 მილიონი ბავშვი გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი.

შესაძლოა მომუშავე ბავშვები განიცდიდნენ ძალადობას, მათ სასტიკად ეპყრობოდნენ სამუშაოს მიმცემი პირები (მათი ზედამხედველები ან დამქირავებლები), თანამშრომლები, კლიენტები, პოლიცია თუ კრიმინალური ბანდის წევრები.

მომუშავე ბავშვების უფლებებს იცავს ორი სპეციალური *საერთაშორისო კანონი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 138-ე და 182-ე კონვენციები)*, თუმცა, არ არსებობს კანონი, რომელიც დაიცავს ბავშვებს სამუშაო ადგილზე.

რა სახისაა ძალადობა მომუშავე ბავშვების მიმართ?

- **ძალადობა დამქირავებლის, სხვა თანამშრომლების ან კლიენტების მხრიდან** — ბავშვზე ძალადობას იყენებენ დასჯის, მუშაობის იძულების ან მისი გაკონტროლების მიზნით.
- **პროსტიტუცია და ბავშვთა პორნოგრაფია** — ყოველწლიურად 1 მილიონი ბავშვი გამოიყენება პროსტიტუციის მიზნით. ბევრი მათგანი ამას ძალდატანებით აკეთებს. ხშირად ისინი ვერავის მიმართავენ დახმარებისათვის, ანდა დახმარების გამონახვის შემთხვევაშიც კი შეიძლება მათ მოეპყრონ როგორც დამნაშავეებს, გამომწყვდიონ სადმე და არ მისცენ უფლება, რომ სასამართლოში უჩივლონ თავიანთ დამქირავებლებს.
- **ვალის სანაცვლოდ მუშაობა/მონობა** — ბავშვები შეიძლება აიძულონ, რომ იშრომონ ვალის/სესხის დაბრუნების სანაცვლოდ, შეიძლება ისინი მონებადაც გაყიდონ. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს არ შეუძლიათ თავის დაცვა უფროსებისა და სხვა მომუშავეებისაგან. თითქმის ყველა დამქირავებელი მიმართავს ძალადობას, რათა ბავშვებს აიძულოს მუშაობა.

ვინ განიცდის ძალადობას მუშაობისას?

ბევრი მომუშავე ახალგაზრდა ცხოვრობს სიღარიბეში და მუშაობს იმისათვის, რომ ოჯახი შეინახოს. სხვები უსახლკარონი არიან და მუშაობას მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მომუშავე ბავშვებს ხშირად აშინებენ და ავიწროებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვები არიან და არ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა ან ჩივილი.

სამუშაო კვლევა

რა უნდა გაკეთდეს?

ბავშვები არ უნდა მუშაობდნენ ქვეყანაში დაწესებულ ოფიციალურ სამუშაო ასაკამდე. სამუშაო ადგილზე ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ძალადობისაგან. ქვეყანის მთავრობამ:

- უნდა აკრძალოს ბავშვების მიერ მძიმე სამუშაოს შესრულება. ყურადღება უნდა მიაქციოს არაოფიციალურად მომუშავე ბავშვებს, მაგალითად, ფერმებში, სავაჭრო დახლებზე ან ქუჩებში, კერძო სახლებში. პრობლემის გადაჭრის დროს მთავრობამ საშუალება უნდა მისცეს ბავშვს გამოთქვას საკუთარი აზრი. ქვეყნის განვითარების გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ბავშვები მომავალში აღარ საჭიროებდნენ არაოფიციალურ სამუშაოს.
- უნდა შემოიღოს კანონები, რომლებიც დაიცავს ბავშვებს სამუშაოზე, ოფიციალური იქნება ეს სამუშაო თუ არა. ამასთან, უზრუნველყოს ამ კანონების საყოველთაო დაცვა.
- უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვების ყველა დამქირავებელმა იცოდეს კანონი, თუ როგორ მოეპყროს ბავშვებს ძალადობის გარეშე. უნდა არსებებოდეს სასწავლო პროგრამები დამქირავებლებისათვის, რაც დაეხმარება მათ, რომ სამუშაო ადგილი გადაიქცეს ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოდ, სადაც არ ხდება ძალადობა. ასევე უნდა შეიქმნას კონკრეტული სისტემები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სამუშაო ადგილას ბავშვებზე ძალადობის ფაქტების შესახებ განცხადება ან საჩივრის შეტანა.
- უნდა გახადოს დახმარება ხელმისაწვდომი არალეგალურად მომუშავე ბავშვებისათვის, რათა მათ შეეძლოთ მუშაობის მიტოვება, განათლების მიღება და კვალიფიკაციის ამაღლება, საცხოვრებლად უკეთესი პირობების გამონახვა. ისინი არ უნდა დაისაჯონ მომავალში.
- უნდა ითანამშრომლოს ბიზნესისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე, პროფკავშირებთან, იმ მიზნით, რომ დაიცვას მომუშავე ბავშვები. შემუშავებული უნდა იქნეს კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპები (ნესები) მომუშავე ბავშვების მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

სად ხდება ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ? საზოგადოება (საცხოვრებელი ადგილი)

ბავშვებს უნდა შეეძლოთ იცხოვრონ თავიანთ საზოგადოებაში ძალადობის შიშის გარეშე.

საზოგადოებაში შეიძლება იგულისხმებოდეს სოფლის მოსახლეობა, მეზობელ ტერიტორიაზე/ ქუჩაზე მცხოვრები ადამიანები ან ადამიანების ცალკეული ჯგუფი. საზოგადოება ასევე შეიძლება იყოს მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ერთმანეთთან ახლოს მცხოვრები ბევრი ხალხი ან დიდ ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე რაოდენობის ხალხი.

საზოგადოებაში მცხოვრები ბავშვი თავს უნდა გრძნობდეს დაცულად და მისი მფარველი უნდა იყოს საზოგადოება. მაგრამ ხშირად ბავშვები, რომლებიც მოცილებულნი არიან თავიანთ ოჯახებს ან მათზე მზრუნველ სხვა პირებს, დგანან ძალადობის რისკის წინაშე. ამგვარი რისკი შეიძლება იყოს: ფიზიკური დაზიანება, სექსუალური ძალადობა და მოტაცება. ისეთ საზოგადოებაში, სადაც ხშირია ძალადობა, მსხვერპლი უმეტეს შემთხვევაში არის ბავშვი. ასეთ საზოგადოებაში უფროსებმა იციან, რომ არ დაისჯებიან *სექსუალური* თუ სხვა სახის ძალადობისათვის და სარგებლობენ ამ საზოგადოებაში ბავშვის დაუცველობით.

38

რა სახის ძალადობაა საზოგადოებაში?

- **ძალადობა ბავშვებს შორის** — ამგვარ ძალადობას ადგილი აქვს ისეთ საზოგადოებაში, სადაც არის უმუშევრობა, ცუდი საცხოვრებელი პირობები და მცირე შესაძლებლობები. როდესაც ბავშვებს არა აქვთ მომავლის ინტერესი, ისინი თავიანთ სასონარკვეთას და გაბრაზებას გამოხატავენ ძალადობით. ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება ამ ძალადობას კიდევ უფრო ამძაფრებს. ბიჭებსა და ახალგაზრდა მამაკაცებზე ხშირად მოქმედებს წარმოდგენები, რომ ძალადობა ნამდვილი მამაკაცის თვისებაა. სინამდვილეში კი მამაკაცი სულაც არ უნდა იყოს მოძალადე. ძალადობა ახალგაზრდებს შორის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს და ზოგი მათგანისათვის ტრაგიკულადაც დასრულდეს.

სახობალოება (სახსობაოეული ადბილი)

- **სექსუალური ძალადობა საზოგადოებაში** — ეს შეიძლება გამოიხატებოდეს შევიწროვებით, უხამსი შეხებით, სქესობრივი კავშირის ძალდატანებით (ზოგჯერ ფულის სანაცვლოდაც კი). სექსუალური ძალადობა ხშირად მოდის არა უცხო პირისაგან, არამედ იმისაგან, ვისაც ბავშვი ენდობა. მაგალითად, სპორტული მწვრთნელის, რელიგიური ლიდერის, პოლიციის თანამშრომლის, მასწავლებლის ან დამქირავებლის მხრიდან.
- **ძალადობა მეგობარი ბიჭის ან მეგობარი გოგონას მხრიდან** — ბევრი ახალგაზრდა ჰყვება, რომ მისმა მეგობარმა ბიჭმა/გოგონამ დაარტყა, სილა გაანწა ან განზრახ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.
- **ძალადობა ქუჩის ბავშვების მიმართ** — ხშირად ქუჩის ბავშვებს არავენ ჰყავთ დამცველი და წარმოადგენენ პრობლემას იმ საზოგადოებისთვის, სადაც ისინი ცხოვრობენ. საქმეში ერევა პოლიცია, რომელიც ცდილობს მოაცილოს ისინი ქუჩას. ბავშვებს სცემენ, აწამებენ, ისინი განიცდიან სექსუალურ ძალადობას, შესაძლოა ისინი „გააქრონ“ კიდევც.
- **ტურიზმი სექსისათვის** — ზოგიერთი ბავშვი მუშაობს ისეთ ადგილებში, სადაც ტურისტები ჩადიან ბავშვებთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით.
- **ძალადობა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ბანაკებში** — ამგვარ ბანაკებში ბავშვები ზოგჯერ მშობლების გარეშე ცხოვრობენ. თუმცა, მშობლების გვერდითაც კი შეიძლება ეს ადგილები არ იყოს უსაფრთხო ბავშვისათვის, რადგან ამგვარ ადგილებს ხშირად მიიჩნევენ იმ ადამიანების დროებით საცხოვრებლად, რომლებსაც არა აქვთ ქვეყანაში კანონიერად ცხოვრების უფლება. ხშირად აქ არ არის პოლიცია ან ისეთი პირი, რომელიც ზომებს მიიღებს ძალადობის წაინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით საშიში ადგილია ქალებისა და გოგონებისათვის.
- **ტრეფიკინგი და მოტაცება** — ბავშვები მიჰყავთ ოჯახებიდან და იყენებენ დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად, პროსტიტუციის მიზნით ან ნაძალადევად, საკუთარი სურვილის გარეშე აქორწინებენ. იმისათვის, რომ ბავშვები თავიანთ ნებაზე ატარონ, იყენებენ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას.
- **ძალადობა საინფორმაციო საშუალებებსა და ინტერნეტში** — ბავშვები ეცნობიან ყველა სახის ძალადობას ტელევიზიის, კინოფილმების, ვიდეოთამაშებისა და ინტერნეტის საშუალებით, რაც ხშირად წარმოდგენილია, როგორც ნორმალური და გასართობი ქმედება. „ინტერნეტით გაცნობილი მეგობრები“ ბავშვებს იყენებენ პორნოგრაფიისათვის ან გაიტყუებენ სახლებიდან. ზოგჯერ ბავშვები თვითონ იყენებენ მობილურ ტელეფონებს ან ელექტრონულ ფოსტას სხვა ბავშვების მუქარის, დაცინვის ან დაშინების მიზნით.

ვინ განიცდის ძალადობას საზოგადოებაში?

სექსუალურ ძალადობას უფრო ხშირად განიცდიან გოგონები, თუმცა ეს შეიძლება ბიჭებსაც შეემთხვეს. გოგონები ასევე ხშირად ხდებიან მავნე ადამიანების მსხვერპლი. მოზარდი ბიჭები საზოგადოებაში გოგონებზე უფრო ხშირად განიცდიან ფიზიკურ ძალადობას, მათთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს იარაღი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში 15-17 წლის ბიჭებს სამჯერ მეტად ემუქრებათ მკვლელობის რისკი, ვიდრე 10-14 წლის ასაკისებს. უფროსი ასაკის ბავშვების (დაახლოებით 15 წლის) მიმართ ყველაზე დიდია ძალადობის საფრთხე.

საზოგადოებაში ძალადობის ყველაზე მაღალი რისკის წინაშე იმყოფებიან ის ბავშვები, რომლებსაც არა ჰყავთ მშობლები ან სხვა უფროსები, რომლებიც დაიცავენ და ყურადღებას მიაქცევენ მათ. კიდევ უფრო მაღალია ბავშვების მიმართ ძალადობის საფრთხე საზოგადოებაში, სადაც გავრცელებულია ძალადობა (მაგალითად, თუ საზოგადოებაში ბევრი იარაღია).

ძალადობის რისკი მაღალია ისეთი ბავშვების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან კონკრეტულ ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობას, განსაკუთრებით მაღალია ეს რისკი კონფლიქტურ საზოგადოებაში.

40

ძალადობის რისკი მაღალია, ასევე, იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ საგანგებო სიტუაციით, მაგალითად, წყალდიდობით, მიწისძვრით, სამოქალაქო ომით ან *ეპიდემიით* და ზარალებულ საზოგადოებაში.

რა უნდა გაკეთდეს?

მთავრობა უნდა დაეხმაროს საზოგადოებას, რომ ყველა ადამიანისათვის შეიქმნას უსაფრთხო გარემო, სადაც არ იქნება სიღარიბე ან სხვა, ბავშვისათვის საზიანო გარემო. ამ მიზნით **ქვეყანამ:**

- **უნდა მიიღოს ზომები**, რათა შეამციროს რისკი. მაგალითად:
 - გაძნელდეს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოპოვება;

სახობალოება (სახსოვრეული კლბილი)

- გაძნელდეს ცეცხლსასროლი და სხვა სახის იარაღის შოვნა;
 - აიკრძალოს არალეგალურ საქმიანობაში ბავშვების გამოყენება.
- **უნდა შეამციროს უთანასწორობა.** ქვეყნებმა უფრო მეტი ფული უნდა დახარჯონ საცხოვრებელი პირობების, დასაქმებისა და განათლების დონის გასაუმჯობესებლად. ღარიბთა ზონებისათვის შემუშავებული უნდა იქნეს პროგრამები, რომლებიც დაეხმარება ხალხს სიღარიბის დაძლევაში.
 - **უნდა უზრუნველყოს** პოლიციის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება *ბავშვის უფლებებთან* დაკავშირებით. მათ უნდა იცოდნენ, როგორ მოეპყრონ ბავშვებს, განსაკუთრებით იმ ბავშვებს, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას. პოლიციამ უფრო მეტი უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ რატომ ხვდებათ უსიამოვნება ბავშვებს და რა არის საუკეთესო საშუალება მათ დასახმარებლად. აქვე იგულისხმება იმ ბავშვების დახმარება, რომლებიც განიცდიან ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზეგავლენას.
 - **უნდა უზრუნველყოს** დახმარება, მხარდაჭერა და კონსულტაციები იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა.
 - **უნდა იზრუნოს** იმაზე, რომ ბავშვებმა, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა, მიიღონ დახმარება და მხარდაჭერა ექიმებისაგან, მედდებისაგან და სხვებისაგან. ადამიანები, რომლებიც მიმართავენ ძალადობას ბავშვების მიმართ, უნდა დაისაჯონ. საჭიროა მათი დახმარება, რათა შეწყვიტონ ძალადობის გამოყენება.
 - **უნდა შეიმუშაოს** გრძელვადიანი პროექტები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს გამოიჩინონ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა და არ მიმართონ ძალადობას. ამაში იგულისხმება, ასევე, უსაფრთხო ადგილების დაარსება გოგონებისა და ბიჭებისათვის, სადაც მათ ექნებათ გართობის საშუალება.
 - **უნდა უზრუნველყოს**, რომ საზოგადოებრივი ადგილები უსაფრთხო იყოს ბავშვებისათვის. მაგალითად, უსაფრთხო უნდა იყოს მარშრუტები სკოლამდე ან მეგობრის სახლამდე.
 - **უნდა ითანამშრომლოს** სხვა ქვეყნებთან ბავშვთა ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლუატაციის აღსაკვეთად. ამისათვის საჭიროა:
 - ცვლილებები, რის შედეგადაც ბავშვებს ნაკლებად დაემუქრებათ ტრეფიკინგი;
 - პოლიციის ძალისხმევის გააქტიურება ტრეფიკინგის სანინააღმდეგოდ;
 - ტრეფიკინგის მსხვერპლს არ მოექცნენ ისე, როგორც დამნაშავეს;

- **უნდა უზრუნველყოს**, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის ამსახველი მასალების გავრცელებას, ფლობასა და გამოყენებას მიეცეს დანაშაულის კვალიფიკაცია. იზრუნოს, რომ ამისათვის პოლიციამ მიიღოს სხვადასხვა ზომა.
- **უნდა უზრუნველყოს** ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების დაცვა და მხარდაჭერა პოლიციაში დაკითხვისას, ადვოკატებთან და მოსამართლეებთან გასაუბრებისას და სასამართლო პროცესის დროს. ბავშვებმა უნდა ისარგებლონ ექიმების, მედღებისა და სხვა ადამიანების დახმარებით, რათა დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას. გაეროს მიერ შემუშავებულია სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც დაეხმარება ქვეყნებს იმის უზრუნველყოფაში, რომ ბავშვებს, სასამართლოს წინაშე წარდგომისას მოეპყრონ სათანადოდ. ამ სახელმძღვანელო პრინციპებს ეწოდება „*გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები დანაშაულის მსხვერპლი და დანაშაულის მონმე ბავშვების მართლმსაჯულების საკითხებზე*“.
- **უფრო დიდი ძალისხმევით უნდა ებრძოლონ** იმ ადამიანებს, რომლებიც ინტერნეტს, მობილურ ტელეფონებს და ელექტრონულ თამაშებს იყენებენ ბავშვების მიმართ სექსუალური და სხვა სახის ძალადობის მიზნით.
- **უნდა ითანამშრომლოს** ინტერნეტის, მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერული თამაშების კომპანიებთან, რათა ბავშვები დაცულნი იყვნენ აქედან წამოსული ძალადობისაგან. იგულისხმება უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა კომპიუტერებში, რომ ბავშვებისათვის არ იყოს სარისკო მათი მოხმარება. ქვეყნებმა და კომპანიებმა ინფორმაცია უნდა მიანოდონ ბავშვებს და მათზე მზრუნველ პირებს იმ საფრთხის შესახებ, რაც მოსალოდნელია ინტერნეტის, მობილური ტელეფონების და ელექტრონული თამაშების გამოყენებისას; აგრეთვე უნდა ასწავლონ, თუ როგორ შეიძლება ამ საფრთხის თავიდან აცილება.

რე უნდა გავითვალისწინოთ

რა უნდა გავითვალისწინოთ

„ძალადობის კვლევის“ განსახორციელებლად თანამშრომლობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქვეყნების მთავრობები, საზოგადოება, მშობლები, ბავშვები, ახალგაზრდები და სხვადასხვა ორგანიზაცია. მნიშვნელოვანია, რომ ყველამ, ვინც ჩართული იყო „ძალადობის კვლევაში“, ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩათვლით, კვლავაც გააგრძელონ თანამშრომლობა.

„ჩვენ გვესაჭიროება თქვენი მხარდაჭერა ბავშვების მიმართ ძალადობის აღსაკვეთად, არა მხოლოდ ჩვენს რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში“.
ახალგაზრდები. აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი.

ბავშვების მიმართ ძალადობის პრობლემა ისევ არ უნდა გახდეს დაფარული. მთელი მსოფლიოს ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ „ძალადობის კვლევაში“ მოცემული რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა განხორციელონ ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ორგანიზაციები, ქვეყნებში არსებულმა ორგანიზაციებმა, მაგალითად, ექიმებისა და მედების ასოციაციებმა, მასწავლებელთა ორგანიზაციებმა, მშობელთა ფორუმებმა და ბავშვებთან და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა, ასევე, თავად მშობლებმა და ბავშვებმა.

ამრიგად, რა მოხდება ახლა?

ქვეყნებსა და რეგიონებში:

- 2007 წლისათვის ყველა ქვეყანის სახელმწიფო გეგმაში უნდა შევიდეს ბავშვების მიმართ ძალადობის აღკვეთის საკითხი. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ქვეყანას უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რა საქმიანობა უნდა განხორციელდეს, რამდენი დრო დასჭირდება მის განხორციელებას, რისი მიღწევა იქნება ამით შესაძლებელი და რა იქნება მისი ღირებულება.
- ყველა ქვეყანას უნდა ჰყავდეს **საკონტაქტო პირი** — ეს შეიძლება იყოს ერთი ადამიანი, ადამიანთა გუნდი ან სამთავრობო დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების

მიმართ ძალადობის აღკვეთის საკითხის პრიორიტეტულობას და დასახული გეგმის თანამიმდევრულ განხორციელებას.

- ყველა ქვეყანის კანონმდებლობით ბავშვის მიმართ ძალადობა უნდა ითვლებოდეს დანაშაულად. 2009 წლისათვის ყველა ქვეყანას ექნება ბავშვების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული **ინფორმაციის შეგროვების** სისტემა.
- **ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის წარსადგენ ანგარიშში** ყველა ქვეყანამ უნდა შეიტანოს თავი, რომელიც შეეხება ბავშვების მიმართ ძალადობის აღკვეთის მიზნით ამ ქვეყნის მიერ გაწეულ სამუშაოს.
- **გაერომ და მასთან დაკავშირებულმა ორგანიზაციებმა** უნდა წახალისონ სახელმწიფოები და დაეხმარონ მთავრობებს ამ *რეკომენდაციების* პრატიკულად განხორციელებაში. გაეროს სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე გუნდებმა სილარიბის დაძლევისა და ქვეყნების განვითარებისათვის დახმარების გეგმებში უნდა ჩართონ ბავშვების მიმართ ძალადობის აღკვეთის საკითხი. ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს სისტემა, რომლის გამოყენებითაც ბავშვები განაცხადებენ მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის თაობაზე. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო ომბუდსმენი — პირი, რომელსაც შეიძლება ბავშვი დაუკავშირდეს, თუ მას სურს ძალადობის შესახებ განაცხადების გაკეთება. შეიძლება იყოს ნდობის ტელეფონი, ან ორგანიზაცია, სადაც ბავშვს შეეძლება მისვლა. აღნიშნული სისტემა უნდა იყოს სრულიად კონფიდენციალური.
- „ძალადობის კვლევაზე“ მუშაობისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რეგიონულმა ორგანიზაციებმა. მათ უნდა გააგრძელონ ქვეყნების დახმარება კვლევის შედეგად შემუშავებული *რეკომენდაციების* განხორციელებისას.

საერთაშორისო დონეზე:

- უნდა დაინიშნოს **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური წარმომადგენელი ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით**. ეს იქნება პირი, რომელსაც დანიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რათა დარწმუნდეს, რომ რეგიონები და ქვეყნები ასრულებენ „ძალადობის კვლევაში“ შემუშავებულ *რეკომენდაციებს*. გაეროს სპეციალური წარმომადგენელი უნდა დაინიშნოს ოთხი წლის ვადით და მან უნდა უზრუნველყოს, რომ საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციები, ჯგუფები და ასოციაციები გაეცნონ „ძალადობის კვლევაში“ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს. სპეციალური წარმომადგენელი რეგულარულად

რე უნდა გავითავსო შედეგები

წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს ადამიანის უფლებათა საბჭოს და გენერალურ ასამბლეას.

- **საერთაშორისო უწყებათაშორისი ჯგუფი ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით** უკვე არსებობს და მან უნდა ითანამშრომლოს სპეციალურ წარმომადგენელთან ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხთან დაკავშირებით. სამი ორგანიზაცია, რომლებიც სათავეში უდგანან „ძალადობის კვლევას“ — გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) და გაეროს ბავშვთა ფონდი, იუნისეფი (UNICEF) — ითანამშრომლებენ გაეროს სისტემის სხვა ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვებთან, რათა უზრუნველყონ ამ კვლევაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება.
- **გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტთან თანამშრომლობა** — „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თანახმად, სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა შეადგინონ ანგარიში მათ ქვეყანაში ბავშვის მდგომარეობის შესახებ. ეს ანგარიში მათ უნდა გაუგზავნონ „ბავშვის უფლებათა კომიტეტს“. „ძალადობის კვლევასთან“ დაკავშირებული გაეროს სპეციალური წარმომადგენელი იმუშავებს კომიტეტთან, რათა დაადგინოს, არის თუ არა წარმოდგენილ ანგარიშში ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტები.
- **თანამშრომლობა გაეროს სხვა ორგანიზაციებთან** — გაეროს სპეციალური წარმომადგენელი მჭიდროდ ითანამშრომლებს გაეროს სხვა სპეციალურ მომხსენებლებთან, რომელთაც ეხებათ, მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტები, ბავშვებით ვაჭრობა, ბავშვთა პროსტიტუცია, ბავშვთა პორნოგრაფია და ძალადობა ქალების მიმართ.
- **საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა**, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, უნდა მოიფიქრონ, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ ბავშვებს.

45

თუ გსურთ მეტი იცოდეთ, თუ რისი გაკეთება შეგიძლიათ ბავშვების მიმართ ძალადობის აღსაკვეთად, უნდა წაიკითხოთ:

„ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისაგან — ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემების შესწავლა-მოგვარების მიზნით“.

განმარტებები

აბორიგენი	ადგილობრივი მოსახლეობა, ადამიანები, რომლებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ მოცემულ ადგილზე და ხშირად საფრთხე ემუქრებათ სხვა ადამიანების მხრიდან იმის გამო, რომ მათ სურთ თავიანთი კონტროლი დაანესონ ამ ადგილზე ან მის რესურსებზე.
ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)	უმაღლეს კომისარს ნიშნავს გაეროს გენერალური მდივანი. კომისრის ოფისმა უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებების საყოველთაო დაცვა.
ადამიანის უფლებათა საბჭო	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების საბჭო თვალყურს ადევნებს ადამიანის უფლებების დაცვას მთელ მსოფლიოში. ის შეიქმნა 2006 წლის მარტში გენერალური ასამბლეის მიერ. მან შეცვალა ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე გაეროს ძველი კომისია. შედგება 47 წევრისაგან.
ადამიანის უფლებები და ბავშვის უფლებები	ყველა ადამიანის უფლებები. აქ შედის ადამიანის უფლება იყოს თავისუფალი, ჰქონდეს საარსებო საჭიროებები, განვითარდეს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს უფლებები აქვთ როგორც უფროსებს, ისე — ბავშვებს.
არასამთავრობო ორგანიზაცია	ნიშნავს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც არ მიეკუთვნება მთავრობას და რომლის მუშაობის მიზანსაც არ წარმოადგენს მოგების მიღება. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ეხმარება ადამიანებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა პრობლემა (მაგ.: სიღარიბე, ინვალიდობა), ან გვევლინება რამის დამცველად (მაგ.: ცხოველებს ან ფრინველებს).

ბანაკებში

<p>ბავშვის აბუჩად აგდება</p>	<p>ბავშვისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი, უყურადღებობის, ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ძალადობის ჩათვლით, იმ პირის მიერ, რომელსაც ბავშვი ენდობა და რომელიც პასუხისმგებელია მასზე ან აქვს ბავშვის გაკონტროლების უფლებამოსილება.</p>
<p>ბავშვის უფლებათა კომიტეტი</p>	<p>ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წელიწადში სამჯერ იკრიბება ჟენევაში იმის მოსასმენად, თუ რას აკეთებენ სახელმწიფოები ბავშვის უფლებათა დაცვისა და განვითარების მიზნით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. ექსპერტები ეხმარებიან ქვეყნებს, რომ მათ მიიღონ ყველა საჭირო ზომა და ბავშვის უფლებები რეალურად იყოს დაცული ყოველდღიურ ცხოვრებაში. კომიტეტს ირჩევენ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ წევრი ქვეყნების წარმომადგენლები სპეციალურ შეხვედრაზე, ნიუ-იორკში. იმ ქვეყნებმა, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, კომიტეტს რეგულარულად უნდა წარუდგინონ ანგარიში მათ ქვეყანაში ბავშვის უფლებების შესახებ. კომიტეტი განიხილავს ამ ანგარიშებს და იძლევა მითითებებს, თუ რა უნდა გააკეთონ ამ ქვეყნებმა, რომ დაცული იყოს ბავშვის უფლებები, რომ ყველამ იცოდეს, რა უფლებები აქვთ ბავშვებს.</p>
<p>„ბავშვის უფლებათა კონვენცია“</p>	<p>„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია“ არის დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ძირითადი უფლებები, რომლებიც აქვს ყველა ბავშვს. კონვენციაზე ხელი აქვს მოწერილი 192 ქვეყანას. დეტალური ინფორმაცია ამ კონვენციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: http://www.unicef.org/crc.</p>



ბავშვისათვის სასიამოვნო	ბავშვისათვის შექმნილი, ბავშვისათვის გასაგები.
ბავშვთა სახლები	დანესებულება, ადგილი, სადაც პატრონობენ ბავშვებს, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები ან რომელთა ოჯახებსაც არ შეუძლიათ მათზე ზრუნვა. იხ. ასევე, „ობოლ ბავშვთა თავშესაფარი“.
ბავშვთა პროსტიტუცია	როდესაც ბავშვი ამყარებს სქესობრივ კავშირს ფულის ან სხვა ანაზღაურების სანაცვლოდ. ბავშვები შეიძლება იძულებით ჩააბან პროსტიტუციაში სხვა ადამიანებმა, ან შეიძლება ბავშვებისათვის პროსტიტუცია იყოს თავის რჩენის ერთადერთი საშუალება. ბავშვების პროსტიტუცია კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და წარმოადგენს სასტიკად მოპყრობის ყველაზე მძიმე ფორმას.
გაერო	გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რათა მსოფლიოს ქვეყნებს ჰქონოდათ ადგილი, სადაც შეიკრიბებოდნენ და იმსჯელებდნენ ისეთ საკითხებსა და პრობლემებზე, რომლებიც ყველას აწუხებდა (გაეროს ყველა წევრს ერთად ეწოდება გაეროს გენერალური ასამბლეა). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათავე ოფისები მდებარეობს ნიუ-იორკსა და ჟენევაში, თუმცა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც არის გაეროს ოფისები. თუ გასურთ უფრო მეტი გაიგოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, მონახეთ ინტერნეტში, მისამართზე: http://www.un.org .

ბენეფიტები

<p>გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები დანაშაულის მსხვერპლი და დანაშაულის მოწმე ბავშვების მართლმსაჯულების საკითხებზე</p>	<p>ეს სახელმძღვანელო პრინციპები შეიქმნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დანაშაულის შედეგად დაზარალებული ან დანაშაულის თვითმხილველი ბავშვები იყვნენ დაცულნი და მათ სამართლიანად მოეპყრონ, როცა წარსდგებიან სასამართლოს წინაშე განცდილისა და ნანახის შესახებ მოსათხრობად.</p>
<p>გაეროს სპეციალური მომხსენებლები</p>	<p>გაეროს მიერ დანიშნული ადამიანები, რომლებმაც რეგულარულად უნდა წარმოადგინონ ანგარიშები იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც გაეროს აინტერესებს. მაგალითად, არის წამების თემაზე მომუშავე სპეციალური მომხსენებელი.</p>
<p>გაცდენა</p>	<p>სკოლის გაცდენა</p>
<p>გენდერი</p>	<p>ბავშვი იბადება მდედრობითი ან მამრობითი სქესის. შემდეგ, ზრდის პროცესში, ჯერ ბიჭები თუ გოგონები, შემდეგ კი — კაცებად თუ ქალებად ჩამოყალიბებულნი, სწავლობენ, თუ რას მოელის მათგან ის კონკრეტულ საზოგადოება თუ კულტურა, სადაც ისინი ცხოვრობენ. ეს არის გენდერი.</p>
<p>გენერალური ასამბლეა</p>	<p>გაეროს გენერალური ასამბლეა არის ადგილი, სადაც იკრიბებიან 192 ქვეყნის წარმომადგენლები და განიხილავენ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. შეკრების ადგილია ნიუ-იორკი. მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია მსოფლიოს მართვა, ეს არის ადგილი, სადაც ქვეყნები თანხმდებიან იმაზე, თუ რა ფორმით სურთ ერთმანეთთან თანამშრომლობა.</p>



გენერალური მდივანი	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევენ მსოფლიოს სახელმწიფოები. ამჟამად გენერალური მდივანია კოფი ანანი. ის აირჩიეს 1997 წელს და არის გაეროს მეშვიდე გენერალური მდივანი.
დაკავების ადგილი	ადგილი, სადაც კანონის დარღვევაში ბრალდებულ ადამიანებს გამოამწყვდევენ დასჯის მიზნით.
დამამცირებელი მოპყრობა	ადამიანის უპატივცემულოდ მოპყრობა, მისი დაცინვა.
დაპატიმრება	ადამიანების ჩაკეტვა, ციხესა თუ სხვა დაწესებულებებში მოთავსება, რომელთა დატოვება მათ არ შეუძლიათ საკუთარი სურვილით.
დასჯა დისციპლინის დამყარების მიზნით	ბავშვების დასჯა იმის გამო, რომ ისინი ცუდად იქცევიან ან არ იქცევიან ისე, როგორც ეს უფროსებს უნდათ.
დაშინება, მუქარა	დაშინებაში იგულისხმება: დამამცირებელი სახელების წოდება; ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანს განსაცდელში ჩააგდებს; დარტყმა, ჩქმეტა, კბენა, ხელის კვრა, პანლური; ნივთების წართმევა; სხვისი ნივთების დაზიანება; ფულის მოპარვა; მეგობრების დაცილება; ჭორების გავრცელება; მუქარა და დაცინვა; ტელეფონზე დარეკვა და ხმის არ ამოღება ან ტელეფონით აბურად აგდება; შეურაცხყოფელი ტექსტების გაგზავნა ტელეფონით; შეურაცხყოფელი წერლების გაგზავნა ელექტრონული ფოსტით; მუქარამ შეიძლება ისე შეაშინოს ბავშვი, რომ აღარ მოუნდეს სკოლაში წასვლა და ავადმყოფობა მოიმიზეზოს.

ბენეფიციარები

დისკრიმინაცია	როდესაც ძალაუფლების მქონე პირი, ან ამგვარ პირთა ჯგუფი, ცუდად ან უსამართლოდ ეპყრობა ნაკლები ძალაუფლების მქონე პირს, ან ამგვარ პირთა ჯგუფს. ბევრი ადამიანი განიცდის დისკრიმინაციას, მათ შორის, ქალები და გოგონები, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, ეთნიკური ან კულტურული ჯგუფები და უნარშეზღუდულები.
ეპიდემია	დაავადების სწრაფი გავრცელება ადამიანების დიდ ჯგუფზე.
ექსპერტი	პირი, რომელმაც ბევრი იცის მოცემულ საკითხზე.
ექსპლუატაცია	ცუდად მოპყრობა, სხვისი უსამართლოდ გამოყენება საკუთარი ინტერესებისათვის. მაგალითად, როდესაც ბავშვი მუშაობს, რათა გაისტუმროს თავისი მშობლების ვალი, ან როდესაც ბავშვს აიძულებენ შეასრულოს სახიფათო ან აკრძალული სამუშაო (მაგ.: ბავშვთა პროსტიტუცია) სხვისი ინტერესების სასარგებლოდ.
ვალის გადახდის სანაცვლოდ შრომა	მუშაობა ვალის ან სესხის დაბრუნების მიზნით.
ზოგადი კომენტარი	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანგარიში, რომელიც იძლევა დეტალურ ახსნა-განმარტებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ ზოგადი კომენტარი 8 განმარტავს, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა არასდროს არის ნებადართული. უფრო მეტი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: www.ohchr.org

იუნისეფი (UNICEF)	გაეროს ბავშვთა ფონდი, რომელიც შეიქმნა 1946 წელს, როგორც გაეროს ბავშვთა დახმარების ფონდი. გაეროს მთავარი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბავშვთა დაცვის, ჯანმრთელობისა და განვითარების საკითხებზე. ის მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოების მთავრობებთან მთელ მსოფლიოში და აწვდის ბავშვებს წამლებს, ვაქცინებს, წყალს, საკვებს და სასკოლო მასალებს.
იძულებით გადაადგილებული პირები	პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ დარჩნენ თავიანთ სახლებში ომის, კატასტროფის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის გამო, რამაც აიძულა ისინი გაქცეულიყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან უფრო უსაფრთხო ადგილზე.
იძულებითი ქორწინება ადრეულ ასაკში	როდესაც გოგონას, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვია, აძალებენ ქორწინებას მისი სურვილის გარეშე
კანონდამრღვევი ბავშვები	ბავშვები, რომლებმაც ჩაიდინეს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება თავიანთ საზოგადოებაში ან ქვეყანაში.
კამპანია	რიგი ღონისძიებებისა, რომლებსაც გეგმავს ადამიანი რაიმე მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ბავშვების ცემის საწინააღმდეგო კამპანიის დროს მონაწილეებმა შეიძლება მოსთხოვონ მთავრობას შესაბამისი კანონის მიღება; გამოიყენონ საინფორმაციო საშუალებები, რათა განუმარტონ ადამიანებს, თუ რა ცუდია ცემა და ასწავლონ მათ სხვა მეთოდები დისციპლინის დასამყარებლად.
კვლევა	გულმოდგინე მეცნიერული შესწავლა სიახლის აღმოჩენისა და მისი ახსნის მიზნით.

ბენეფიტები

კონვენცია	საერთაშორისო ხელშეკრულება რაიმე საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად: „გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“.
„კონვენცია წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის შესახებ“.	საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც კრძალავს ისეთ მოპყრობას, როდესაც ინფორმაციის მიღების მიზნით ადამიანს აყენებენ მწვავე ტკივილს ან ტანჯვას (ფსიქოლოგიურს ან ფიზიკურს), ან აშინებენ. როდესაც ადამიანს აიძულებენ აღიაროს რაიმე, ან თანხმობა განაცხადოს რამეზე.
„კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“	საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც საერთაშორისო კანონს ქალთა უფლებების შესახებ. მასში განმარტებულია, თუ რა იგულისხმება ქალის მიმართ დისკრიმინაციაში და რა შეუძლია სახელმწიფოს მის აღსაკვეთად.
კონსულტაციები	ადამიანთა აზრის გაგება; ეს სიტყვა გამოიყენება იმ შეხვედრების აღწერისათვის, რომლებიც ტარდებოდა მსოფლიო მასშტაბით, როცა იქმნებოდა „ძალადობის კვლევა“ და როდესაც ახალგაზრდებს შეეძლოთ ეთქვათ ის, რასაც ფიქრობდნენ.
ლტოლვილები	ხალხი, რომელსაც მოუხდა საკუთარი ქვეყნის დატოვება ომის, უბედურებისა თუ სხვადასხვა სახის საგანგებო მდგომარეობის ან დევნის გამო და რომელსაც არ შეუძლია უკან დაბრუნება.
მანანწალობა	უსახლკარობა, ქუჩაში ცხოვრება.



<p>მკვლევლობა ლირსების დასაცავად</p>	<p>როდესაც კაცი კლავს გოგონას ან ქალს ოჯახის „ღირსების“ დასაცავად — ქორწინების გარეშე სექსისათვის, ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც ქალი/გოგონა გაუპატიურების მსხვერპლია, ან როდესაც უარს ამბობს გარიგებით ქორწინებაზე, ან ცდილობს განქორწინებას.</p>
<p>მონაწილეობა</p>	<p>იყო რაიმე საქმიანობაში ჩართული ან ასრულებდე რაიმე როლს; როდესაც გადაწყვეტილებების მიღებისას შენს აზრს სერიოზულად ეკიდებიან და ითვალისწინებენ.</p>
<p>მონიტორინგი</p>	<p>რაიმე საქმიანობის განხორციელების კონტროლი.</p>
<p>მონობა</p>	<p>ადამიანის, როგორც სამუშაო ძალის, სხვებისათვის მიყიდვა; როდესაც მას არა აქვს ხმის ამოღების უფლება, არ შეუძლია თავად განაგოს საკუთარი ცხოვრება.</p>
<p>მსოფლიო ბანკი</p>	<p>მსოფლიო ბანკი გაცემს სესხებს, გრანტებს და სხვა სახის დახმარებებს ქვეყნების განვითარების მიზნით. ეს არ არის ბანკი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მისი მიზანია სიღარიბის დაძლევა მთელ მსოფლიოში.</p>
<p>მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO)</p>	<p>მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია არის ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე გაეროს სპეციალური უწყება. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ის მუშაობს დაავადებების კონტროლის, ჯანმრთელობისა და კვების ზოგადი სტანდარტების გამოსწორების საკითხებზე, ცდილობს, რომ მსოფლიოში ყველა ადამიანისთვის იყოს ხელმისაწვდომი ჯანდაცვის შესაძლო უმაღლესი დონე.</p>

ბანკოკრედიტი

მუტილაცია	ადამიანის სხეულის განზრახ დაზიანება ან დასახიჩრება; იხ. აგრეთვე, „ქალთა სასქესო ორგანოების მუტილაცია“.
ნარჩენების ქექვა	ნარჩენებში ან ქუჩაში ისეთი საგნების ძებნა, რომლებიც შესაძლებელია გაიყიდოს.
ობოლი	ბავშვი, რომლის მშობლები დაიხოცნენ.
ობოლთა თავშესაფარი	ადგილი, სადაც ზრუნავენ ბავშვებზე, რომელთა მშობლებიც დაიხოცნენ ან რომელთა ოჯახებსაც არშეუძლიათ მათზე ზრუნვა.
ორგანიზებული დანაშაული	როდესაც ბანდები ან სხვა უკანონო დაჯგუფებები (მაგ.: მაფია) ფულს შოულობენ დანაშაულებრივი საშუალებებით.
ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით — ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და სასჯელის შესახებ	საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანების ტრეფიკინგის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, ქვეყნებს შორის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ. აქ მოცემულია მოსაზრებები, რა უნდა გააკეთონ ქვეყნებამა ტრეფიკინგის წინააღმდეგ და მსხვერპლთა დახმარების მიზნით.
ოჯახი	ნიშნავს არა მარტო მშობლებსა და ბავშვებს, არამედ ყველას, ვინც შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ოჯახის ნაწილად. ოჯახი, ფართო გაგებით, გულისხმობს ბებიას და ბაბუას, ბიძას და ბიცოლას, ბიძაშვილებსა და სხვებს.
რატიფიცირება	კანონზე ხელის მოწერა იმის დასტურად, რომ ქვეყანა აღიარებს კანონს და მისი მოქალაქეები ემორჩილებიან ამ კანონს.



რეკომენდაციები	იდევები ან წინადადებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ესა თუ ის პირი სიტუაციის გასაუმჯობესებლად.
რომის სტატუტი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესახებ	საერთაშორისო ხელშეკრულება დამოუკიდებელი საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესახებ, სადაც გაირჩევა სხვადასხვა სერიოზული დანაშაული, რომელიც ეხება მრავალ ქვეყანას. მაგალითად: ომთან დაკავშირებული დანაშაული, გენოციდი და დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 100-ზე მეტმა ქვეყანამ.
საერთაშორისო კანონმდებლობა	კანონები, რომლებსაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა აწერს ხელს და თანახმაა მათ შეასრულებათ.
საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია 182	საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ყველა ქვეყანამ უნდა აკრძალოს ბავშვის შრომის უმძიმესი ფორმები 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. იგულისხმება: მონობა, ბავშვების ტრეფიკინგი, ვალის გადახდის სანაცვლოდ ან სხვა სახის იძულებითი შრომა, ბავშვების ძალდატანებით განწევვა ჯარში, ბავშვების გამოყენება პროსტიტუციისათვის, პორნოგრაფიული მასალების წარმოებისათვის, ბავშვების გამოყენება არალეგალური სამუშაოს შესასრულებლად, განსაკუთრებით — ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგისათვის. სამუშაო, რომელიც, სავარაუდოდ, ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და კეთილდღეობას.
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზნია, დაეხმაროს ქვეყნებს, ითანამშრომლონ ფულთან დაკავშირებულ საკითხებში. მისი წევრია 184 ქვეყანა.

ბენეფიციარები

საერთაშორისო საფინანსო დანერგვები	ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით და არა ქვეყნის ან რეგიონალურ დონეზე. იხ. „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ და „მსოფლიო ბანკი“.
საზოგადოება	იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც იცნობენ ერთმანეთს ან ცხოვრობენ ერთმანეთთან ახლოს (ადგილობრივი საზოგადოება) ან აქვთ ერთმანეთთან საერთო, მაგალითად, ინტერესები ან რწმენა.
სექსუალური ძალადობა ბავშვებზე	ნებისმიერი სახის სექსუალური ქმედება, რომელსაც თავს ახვევენ ბავშვს განსაკუთრებით ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მათზე, აქვთ უფლებამოსილება განაგონ მათი საქმეები, იზრუნონ მათზე ან აკონტროლონ ისინი; რომლებსაც ეს ბავშვები უნდა ენდობოდნენ.
სექსუალური ექსპლუატაცია	პიროვნული მოგების ან შემოსავლის მიღების მიზნით ბავშვების ჩაბმა პროსტიტუციაში ან სექსუალურ ქმედებებში, რაც არის უკანონო და შეუსაბამო ქმედება.
სიკვდილით დასჯა	როდესაც პირის მიმართ აღასრულებენ სასჯელს (კლავენ), რომელიც ხორციელდება მას შემდეგ, რაც სტატუსისა და საერთო სამართლის ნორმების მიხედვით მოქმედი სასამართლო დაამტკიცებს ამ პირის მიერ სერიოზული დანაშაულის ჩადენის ფაქტს.
სტიგმა	როდესაც სხვა ადამიანები ზემოდან გიყურებენ; ბავშვის ხანგრძლივი სულიერი ტრავმა ან ცხოვრებისეული ლაქა, სირცხვილი.

ტრეფიკინგი	ადამიანებით უკანონო ვაჭრობა (ე.ი. ყიდვა-გაყიდვა). გამოიყენებენ ქალებსა და ბავშვებს (უმეტეს შემთხვევაში) სექსუალური მიზნებისათვის, ხოლო კაცებსა და ბიჭებს — სხვა მიზნებისათვის. ხდება როგორც ქვეყნის ფარგლებში — სოფლიდან ქალაქში, ისე სხვადასხვა ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით, და ლარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში.
უთანასწორობა	არათანაბარ მდგომარეობაში ყოფნა. ეს ნიშნავს განსხვავების არსებობას, რომ ერთ ადამიანს აქვს ვილაცაზე მეტი ან ნაკლები, ან არის ვინმეზე მეტი ან ნაკლები. ძალაუფლების უთანასწორობა ნიშნავს, რომ ერთ ადამიანს აქვს უფრო მეტი ძალაუფლება, ვიდრე სხვას.
უმცირესობათა ჯგუფი	ადამიანთა ჯგუფი საზოგადოებაში, რომელიც განსხვავდება სხვა, უფრო დიდი ჯგუფისაგან ეთიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნებით. უმცირესობათა ჯგუფს ხშირად მცირე ძალაუფლება აქვს.
უყურადღებობა	როდესაც ვინმეზე ცუდად ან საერთოდ არ ზრუნავენ
ფიზიკური ზიანი	დასჯის მიზნით ადამიანის სხეულის დაზიანება. იხ. „ფიზიკური სასჯელი“.
ფიზიკური სასჯელი	ფიზიკურ სასჯელში იგულისხმება ნებისმიერი ფიზიკური ძალადობა, მათ შორის, წამორტყმა, ცემა, გაროზგვა საკუთარი ნების თავზე მოსახვევად, სწავლებისათვის ან დისციპლინის დამყარების მიზნით.

ბანაკრძეუები

ფსიქოლოგიური ძალადობა (ბავშვზე)	აიძულო ბავშვი თავი იგრძნოს უხერხულად. ეს შეიძლება შეურაცხყოფის მიყენებით, დამამცირებელი სახელების წოდებით, ბავშვის იზოლირებით ან მისი უარყოფით, მუქარით ან ბავშვის მიმართ სრული უყურადღებობით.
ფსიქოლოგიური ძალადობა (ზოგადად)	ადამიანის შეურაცხყოფა, დამცირება ან დაცინვა; ვინმეს გრძნობების შეურაცხყოფა ან მისთვის მორალური ზიანის მიყენება.
ქალთა სასქესო ორგანოების მუტილაცია	ქალის ან გოგონას გარე სასქესო ორგანოების ნაწილობრივ ან მთლიანად ამოჭრა, მისთვის ზიანის მიყენება არასამედიცინო მიზნებისათვის. ზოგჯერ ამას უწოდებენ „ქალთა წინადაცვეთას“. მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას ეს არის ტრადიცია.
ქუჩის ბავშვები	ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ქუჩაში, რომლებზედაც არ ზრუნავენ მშობლები ან სხვა უფროსები, რომელთაც უსახლკარობის გამო სძინავთ ქუჩაში.
შეურაცხყოფა, სასტიკად მოპყრობა, აბუჩად აგდება	ცუდად მოპყრობა, რომელიც იწვევს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს. იხ. აგრეთვე, „ბავშვის აბუჩად აგდება“.
შვილობილზე ზრუნვა	ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარ ოჯახში დარჩენა, შეიძლება დროებით მოათავსონ სხვა ოჯახებში მანამ, სანამ მიღებული იქნება გადწყვეტილება მათი მომავლის შესახებ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)	გაეროს სპეციალიზებული უწყება, რომელიც იცავს ყველა მომუშავე ადამიანის უფლებას, მათ შორის, მომუშავე ბავშვების უფლებას. დაარსდა 1919 წელს. აქვს ცალკე განყოფილება, რომელსაც ევალება მომუშავე ბავშვების უფლებების დაცვა.
შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია 138	საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ყველა ქვეყანამ უნდა დაადგინოს მინიმალური ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ აქვს ბავშვს მუშაობის უფლება. უმეტესი სამუშაოს შესასრულებლად ბავშვი უნდა იყოს, სულ მცირე, 15 წლის, ხოლო სახიფათო სამუშაოს შემთხვევაში ეს ასაკი უნდა განისაზღვროს 18 წლით.
ცუდად მოპყრობა	ბავშვთან ან ახალგაზრდასთან ცუდად მოპყრობა.
წამება	ადამიანისათვის ძლიერი სულიერი ან ფიზიკური ტკივილის/ ტანჯვის მიყენება ინფორმაციის მოპოვების ან მისი დაშინების მიზნით. მიზანი შეიძლება იყოს ამ ადამიანისაგან რაიმეს აღიარების ან თანხმობის მიღება.
წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი	საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც აღნიშნულია, რომ არ შეიძლება წამება ციხეში. ეს ხელშეკრულება ასევე გვეხმარება ცალკეული ვიზიტების სისტემის ჩამოყალიბებაში, რათა დავრწმუნდეთ, რომ პატიმარ ბავშვებსა და სხვა თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებს კარგად ექცევიან.
ხელშეკრულების მონიტორინგის უწყებები	გაეროს მიერ შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ, რამდენად ასრულებენ სახელმწიფოები მათ მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებების პირობებს.
ხეტიალი	უსაქმოდ სიარული.